საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 ნოემბერი. 2021 წ. №196 (9315) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მიშას და მისი მხარდამჭერების ფსიქოპორტრეტი

უტიფრობის და უზრდელობის პიკი

დოდონა კიზირია: როგორი მოსასმენია ნიკა მელიას 40-წუთიანი ყროყინი...

ოპოზიციის ვა-ბანკი, ანუ „კონსპექტი დამარცხებისთვის“!..

4

ნაცების „ლოგიკა“ და ქოცების ულოგიკობა

ნუ შევუნდობთ იმას, ვინც ულალატა სამშობლოს!

5

ამერიკის საელჩო: წინ კიდევ ბევრი სამუშაოა სასწრაფოდ შესასრულებელი!

ქუჩაში გაგონილი დიალოგი

დღის ამფრაზურიდან

— ნაციონალებს მელიას სახით მხრებზე თავის პროგეზი ადგათ!..

— ეგრეა, ნამდვილი თავი ვითომ ვირის აბანოშია, მაგრამ მაგ მშიერ-მწყურვალ ვირისთავს მართლა აუტყდა წერა თუ გვარამიები და საძაგლიშვილები გვასაღებენ თავიანთ არზებს?!

— გაგვაგებინონ ერთი, ბოროტმოქმედი სააკაშვილი ციხეშია თუ აგარაკზე?!.

— ბარემ ის მასაჟისტიც შეუყვანონ, დაკბენილი რომ ჰყავს პრეზიდენტობისას, ყოველდღე სუშიც შეუგზავნონ, ცივი ნიავი არ მიაკარონ, სარევოლუციოდ გამოაწრთონ!..

— ციხე ტრიბუნად აქცევინეს, გენაცვალე!

— როგორც ჩანს, ქოცებს მაგის სამომავლო შიში აქვთ და წითელ კოჭს უგორებენ...

— უგორონ, უგორონ, აშკარაა, ეგ პოლიტიკურ ბუად ჰყავთ წარმოდგენილი...

— ჰოდა, მაგით რასაც მოიგებენ, იმასაც ნახავენ!..

ძნელბედობის ჟამი

სამწუხაროდ, უგუნური პოლიტიკოსების და შემაღონებელი პანდემიის გამო ძნელბედობის ჟამი უდგას ჩემს სამშობლოს. ხალხი დათრგუნვილი და დაბეჩავებულია.

დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს!

როდის გაბრწყინდები, ჩემო მრავალტანჯულო და ლამაზო ქვეყანავ...

ვულოცავ სრულიად საქართველოს არჩევნებში გამარჯვებას.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ომარ მარგველაშვილი

როგორი მოსასმენია ნიკა მელიას 40-წუთიანი ყროყინი...

მე დღეს ამერიკაში უნდა ვყოფილიყავი...

მე სულელმა, მე დებილმა, გასულ საუკუნეში ჩარჩენილმა იდიოტმა ფრენა გადავდე, ვიფიქრე, ეგებ რაიმე მოხდეს და ამას როგორ მოვაკლდები, ეგებ ზღვა ხალხი მოგროვდეს, ეგებ შევძლოთ, ვაიძულოთ მთავრობა მიშას კერძო კლინიკაში გადაყვანა-მეთქი...

საღამოს 7 საათზე გამოცხადებულ აქციაზე, 80 წელს გადაცილებული ქალი გულისფანცქალით გავვარდი და... მერე რა?! მოვისმინე ხოშტარიას, ხაზარაძის და სხვათა ქაქანი, ნიკა მელიას 40-წუთიანი ყროყინი... ყველაფერი ის, რაც ტელევიზორით არაერთხელ გვაქვს მოსმენილი.

დაბოლოს, განცხადება, მომავალ კვირას მოდით თავისუფლების მოედანზე, შევიკრიბოთ, ვუჩვენოთ ამ ხელისუფლებას, თუ რა შეგვიძლია!

ჰოდა, მაინტერესებს, რა ჩემი ფეხები შეგიძლია?! ასეთი უტაქტობის, ელემენტარული პოლიტიკური ალღოს ასეთი უქონლობის მსგავსი არაფერი მინახავს. სხვას თუ არაფერი, ამდენი ხალხის მიმართ იმდენი პატივისცემა მაინც ჰქონოდათ, იმდენი ყურადღება მაინც გამოეჩინათ, იმათთვისაც დაეთმოთ ეს მიკროფონი,. ეგებ იმათაც სურდათ რაიმე ეთქვათ, ეგებ იმათაც უნდოდათ მათი განწყობის, მათი აღშფოთების გამოთქმის სურვილი! გულს მაინც მოიოხებდნენ, მიშას სიტყვებით მაინც გაამხნევებდნენ.. მომავალ კვირას რას ეტყვიან, რაიმეს ახალს?! თუ ისევ იქაქანებენ ოპოზიციის ხელმოცარული ლიდერები... ისევ იყროყინებს საათნახევარი ნიკა მელია?

გამოიწკიპებიან ჰოლივუდის ვარსკვლავებივით კამერების წინ, მისცემენ სამწუთიან ინტერვიუს, ხალხს კი ისევ ეტყვიან – შემდეგ კვირას მოდითო. ამ დროს კი ადამიანი, რომელმაც 36 წლის ასაკში შეუძლებელი შეძლო, ქვეყანა ჭაობიდან ამოათრია, წინსვლის და განვითარების გზაზე დააყენა, მსოფლიო ჩვენს მიღწევებზე აალაპარაკა, ახლა ციხეშია... ციხეშია და თავი სასიკვდილოდ აქვს გადადებული, იმიტომ რომ, ეგონა, ამით ჩვენს ხალხს იმედს მისცემდა, ენერგიას შემატებდა, გამარჯვებას გაუადვილებდა. მისი სიცოცხლე წვეთწვეთ იწურება ყოველ დღე კი არა, ყოველ საათს, ყოველ წუთს, ყოველ წამს... იცოცხლებს ის მომავალ კვირამდე?! უფიქრია ოპოზიციის ლიდერშიპს ამაზე?! მის სიკვდილს მოუთმენლად ელოდება ქოცთავრობის ხროვა და მათი მბრძანებელი, შამპანურის ბოთლები მათაც და კრემლშიც მომზადებული აქვთ სადღესასწაულოდ!..

დოდონა კიზირია,
ამერიკაში მცხოვრები 80 წლის ქართველი, პროფესორი
30.X.2021

„ცოდვების“ კორიანტელი გარდაბნიდან

საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს და ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონებო!
გაწუხებთ პენსიონერი, სახალხო განათლების წარჩინებული!

„თქვენს გმირ ოპოზიციას“ წელიწადზე მეტია ამდენი შანტაჟებისა, ბოიკოტისა, პარლამენტში შეჭრის მცდელობისა და მავნებლობისთვის უხდით ხელფასს?!

როცა ბავშვები შიმშილით გვიკვდება, პენსიონერები წამლებს ვერ ვყიდულობთ, ოცი წელია ქვეყანას ანგრევს მიშა-კალიგულა და მისი ხროვა! ნიკა მელიას და სააკაშვილს გადავაყოლოთ ქვეყანა?!

სად გაძრა ქართული გონი?

ქალბატონო სალომე, სააკაშვილთან, უგულავასთან, ოქრუაშვილთან და მელიასთან დაკავშირებით, ხომ არაფერი გეშლებათ? რას ეუბნებით გულნატკენ ხალხს და დაზარალებულ ქვეყანას?!

როგორ გვინდა, რომ თქვენ მართლაც საამაყო პრეზიდენტი იყოთ!

ჩვენ ყველას მხარი რომ დაგვეჭირა „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუციისთვის, ფაშისტური პარტიის გასამართლებისთვის, რამდენ ტრაგედიას, უსამართლობებსა და საარჩევნო კოშმარს ავიცდენდით?!

ბატონებო, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მოქალაქეთა მიღებისა და საჩივრებზე რეაგირების საკითხს, რომელიც ჩაკვდა სოციალიზმის ეპოქასთან ერთად!

გთხოვთ, ბატონ ვახტანგ გომელაურთან ერთად, დაინტერესდეთ, რა ხდება გარდაბანში! ორი წელია ჩემი პირადი საკუთრება ხელყვეს, გადამიწვეს 45 წლის ხეხილის ბაღი – ვენახით (ოჯახის ერთადერთი შემოსავალი) და სამართალდამცავების არავითარი რეაგირება არ ჩანს!

ბატონებო, რადგან მთავრობა ვერ ახერხებთ მედიკამენტებზე ფასების ყოველდღიური კატასტროფული ზრდის შეჩერებას (რითაც მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ), ხომ არ გადადგებით?! პენსია წამლების შესაძენადაც არ გვყოფნის! კატასტროფა გვაქვს განათლების სისტემაშიც! არავინ ფიქრობს უფასო სწავლებაზე, რის გამოც ათასობით ახალგაზრდა ტოვებს უნივერსიტეტებს!

ქალბატონო პრეზიდენტო და ბატონო პრემიერო, რატომ არ გაწუხებთ მომავალი თაობის აღმზრდელ პედაგოგთა ფენის უკიდურესი სოციალური მდგომარეობა? პედაგოგთა ქუჩაში გაყრა და მათ მაგიერ არაპროფესიონალ – მასწავლებლობის მაძიებელთა შემოყვანა?! ეს ხომ სასწავლო პროცესისა და ჩვენი შვილების ღალატია?! მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ასეთი კატასტროფა არაა! ნუ ამოეფარებით კოვიდ-19-ს! მომავალი თაობები არ შეგაჩვენებთ ამ ღალატისთვის?! რამდენი ღირსეული, ერისა და ჩვენი შვილების საყვარელი პედაგოგების სიცოცხლე შეიწირა მათი პატიოსანი შრომის დაუფასებლობა-უსულგულობამ?!

სანამდე ატარებთ ამ ცოდვას?!

პატივისცემით,
ბონდო კალანდაძე
(579 111 441), ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 20/18

ზუგდიდში ღირსებამ გაიმარჯვა

ზუგდიდში, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ღირსებამ და გონიერებამ გაიმარჯვა. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა ზუგდიდმა კიდევ ერთხელ და მე მგონი სამუდამოდ უარი უთხრა ბოროტებას და ძალადობას. იმედია, 2024 წლამდე არჩევნები აღარ იქნება და როგორც „ქართული ოცნების“ თავჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა ამ დროისთვის ალბათ აღარც „ნაციონალური მოძრაობა“ იარსებებს.

სასიხარულოა, რომ ზუგდიდის მერი გახდა კარგი ზუგდიდელი, კარგი ოჯახის შვილი მამუკა წოწერია და არა ვითომ ზუგდიდელი ანზორ მელია, რომელსაც მრავალი წელია, ზუგდიდში არ უცხოვრია და არც ზუგდიდსა და ზუგდიდელების გაეგება რამე.

რაც შეეხება საკრებულოს, შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციურია. სულ ცოტა დააკლდათ „ნაციონალებს“, უმრავლესობაში ყოფილიყვნენ, მაგრამ როგორც ვთქვით ზუგდიდელების წინდახედულობამ მათ ამის საშუალება არ მისცა. 45-წევრიან საკრებულოში 22 „ნაცია“, 20 „ქართული ოცნება“ და 3 „გახარიას პარტიის“ წარმომადგენლები არიან. უმრავლესობას სჭირდება 23 დეპუტატი, რომელსაც ვერც ერთი პარტია ვერ ქმნის, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ საით გადაიხრებიან გახარიას გუნდის წევრები. გავრცელებული ვერსიით, როგორც ყოფილი „ოცნებელები“ „ოცნებას“ გაურიგდებიან, სანაცვლოდ კი შესაძლოა მიიღონ საკრებულოს თვჯდომარის ან მოადგილის და ვიცემერის თანამდებობები, ალბათ ანალოგიური გარიგებები მოხდება წალენჯიხისა და ჩხოროწყუს საკრებულოებშიც სადაც „ქართული ოცნებას“ უმრავლესობა არ გააჩნია და დამოკიდებულნი არიან გახარიას პარტიის დეპუტატების გადაწყვეტილებებზე.

ერთადერთი რაიონი, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატმა გაიმარჯვა წალენჯიხაა, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიგა გულორდავამ კაცურად მიულოცა გამარჯვება „ნაციონალების“ კანდიდატს გია ხარჩილავას.

„ნაციონალობის“ მიუხედავად, გია ხარჩილავა კარგი ნორმალური პიროვნებაა და იმედია, რომ ის დადგება თავის პარტიაზე მაღლა და იზრუნებს წალენჯიხის კეთილდღეობისთვის.

რამდენიმე დღეში გაიმართება ახლად არჩეული საკრებულოების პირველი სხდომები, რის შემდეგაც საკრებულოები და არჩეული მერები შეუდგებიან თავიანთი საქმიანობის შესრულებს.

ლადო ძირია,
ზუგდიდიდან

ხალხს სჭირდება ახალი ხიდი რკინიგზის თავზე!..

ქალაქის მერს, ბატონ კახი კალაძეს

ბატონო კახა! გილოცავთ და ჩვენ თავსაც ვულოცავთ საქმიანი, თაოსანი, პრინციპული ადამიანის თვისებებით დაჯილდოებულ პიროვნების მერად არჩევას.

ნაძალადევის რაიონი, მოგეხსენებათ, რკინიგზის გამო, ქალაქთან ერთგვარი საგზაო ინფრასტრუქტურით,, გარიყული. აუცილებელია რკინიგზის თავზე ხიდის მოწყობა, ეს ჯერ კიდევ კომუნისტებს ჰქონდათ გეგმაში, ჩვენი დიდი თხოვნაა, მოიფიქროთ და განახორციელოთ ეს საჭირო უკვე დროით ნაკარნახევი აუცილებლად განსახორციელებელი პროექტი.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი წინადადებით დროულად დაინტერესდებით!

პატივისცემით

ჯ. სადაღაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ზ. ყორიაული, გ. ჯალმაიძე, ტ. ჯვებეიშვილი

ოქტომბრის ბოლო კვირის მუნასიბი

ყოჩაღ, ზუგდიდო!

კოლხური სისხლი არ ცდება მისხლით
და იმ ცოდვის შვილს დაუხვდა
რისხვით,
ვინც თბილისიდან ნამდვილ სატანას
ზუგდიდში მამა გამოატანა
და საკადრისი გრძანა ზურგ-დიდმა,
გულმართალმა და გრძენმა
ზუგდიდმა!

მადლობა, ქუთაისო!

გაიფანტა ღრუბლები,
წყვდიადი და ნისლები
და კვლავ გვესალბუნები
ქუთაისურ ღირსებით,
შენს სულს ვერვინ შელახავს,
სისხლით კვლავ რომ დალაქოს,
ჩვენი სუნთქვა შენა ხარ,
ქვეყნის მამაქალაქო!

ალექსანდრე შენგელია. 2021 წლის 31 ოქტომბერი

მიშას და მისი მხარდამჭერების ფსიქოპორტრეტი

ცნობილი ექიმი ნინო ახობაძე სოციალურ ქსელში საზოგადოების ორად გახლეჩის თემას ეხმაურება და მიხეილ სააკაშვილის მომხრეების მიმართ სვამს იმ კითხვას, რომელიც ათასჯერ დაუსვამს სხვასაც, მაგრამ დღემდე საზოგადოებისთვის ამოუხსნელი ფენომენია – „რატომ გიყვართ მიშა?“

* * *

„არც ვიცი, საიდან დავიწყო, იმიტომ რომ ათასნაირი გრძნობა და განცდა, ათასი ემოცია ერთად მმართავს ახლა;

ეს რა დაგვემართა, ხალხო, რა დღეში ვართ ყველა – აპოლიტიკურიც და პოლიტიკურიც... იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გასცდა პოლიტიკას;

ჩვენს ურთიერთობებში შემოიჭრა მეტასტაზებივით შუღლი, ჯინიანობა, ნიშნის მოგება, კინკლაობა, კამათი, დაპირისპირება, წყევლაც, დამუნათება, წამოძახება, ჩასაფრებულის პოზაში ჯდომა...

ჯიბრით წერა ეწინააღმდეგება ჩემს ხასიათს და მე არ ვარ კარგად ამ ყველაფრის გამო, რასაც აქ ვწერ და რასაც ვფიქრობ, განსაკუთრებით ბოლო ერთი თვეა;

მე მყავს მეგობრები, რომლებიც სიცოცხლეს მირჩევნია და ისინი დღეს მიშას უჭერენ მხარს.

მყავს თვალით უნახავი ფრენდები, რომლებიც შემიძლია ადვილად გავიმეტო, წავშალო, მოვიცილო, მაგრამ გულის რაღაც ნაწილი მათაც მიყვება უკან, მიყვარდა მე ეს ადამიანები ჩემებურად, როგორც შემეძლო-ისე;

ადრე არავის არ ვშლიდი ამის გამო, ახლა ორშაურად ვიმეტებ ყველას, ვინც იქითა მხარეს დგას;

და სულაც არა ვარ ბედნიერი ამის გამო.

ვერასოდეს მიხვდება ჩემი ტვინი, საერთოდ პოლიტიკოსი (ვინც გინდა იყოს) რატომ უნდა მიყვარდეს!

მეც და მიშას მომხრეებიც ერთნაირი ადამიანები ვართ – ჩვენი ცუდით და კარგით; გარეგნულადაც თითქოს არანაირი განსხვავება არ არის ჩვენს შორის, ცხოვრების წესიც ერთნაირი გვაქვს; ბავშვობაც უმეტესობას ერთნაირი გვქონდა, ძირითადად ჩემი ასაკის ხალხთან მაქვს შეხება;

განსხვავება არის აი ამაში:

მე შემიძლია დავინახო იგივე „ქართული ოცნების“ უამრავი ნაკლი, შემიძლია თავისუფლად გავაკრიტიკო ესა თუ ის მოქმედი ხელისუფალი; შემიძლია და თან არ მეშინია, რომ ამის გამო დამიჭერენ ან შემავიწროვებენ.

სამაგიეროდ, ნახეთ რა ხდება იქითა მხარეს – შანსი ნულია, არ არსებობს, გამორიცხულია – რომელიმემ აღიაროს, რომ:

მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა!

ასე მგონია, შვილს გაწირავენ და იმას არა.

როგორც წმინდანს, ისე ენდობიან და ისე სჯერათ მისი;

ერთგვარი რელიგიაა უკვე მათთვის ეს კაცი.

სალოცავი, საფიცარი...

სულ რომ ანგელოზი იყოს სააკაშვილი, ეს რაც ზემოთ დავწერე, უკვე საშიში და სავალალოა.

გონიერ, ნორმალურ, ზრდასრულ ადამიანს ეუბნები რომ:

– მიშას დროს აწამეს ადამიანები – არ მჯერა! – გპასუხობს.

ეუბნები, რომ მოკლეს ბიჭები – „ბაჩალიაშვილი და შაქარაშვილი“, – აი ამას გიპირისპირებენ, ზედ მაჩალიკაშვილსაც აყოლებენ...

ამ დროს ვფიქრობ ხოლმე, როგორც ექიმი, რომ არ მაქვს საქმე ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანთან. სიბრალული, ზიზღი და გაოცება ერთდროულად მერევა...

ეუბნები, რომ მოგწონს დაგებული გზები, კი ბატონო;

მოგწონს იუსტიციის სახლიც, ბათუმის პიაცაც მოგწონს;

შუქი და გაზი რომ სულ გვაქვს 2003-დან ესეც, მაგრამ, არაფერი გიღირს ადამიანების სიცოცხლედ და ისევ იგივე წრეზე მიყავხარ – ბაჩალიაშვილი? მაჩალიკაშვილი?

და სად არის ამ დროს ლოგიკა? – არ ვიცი.

მე ძალიან ვარ გაბრაზებული და ეს არაერთხელ დამიწერია, რომ ბარბარე რაფალიანცის საქმე სამზეოზე არ არის გამოტანილი და უამრავი კითხვის ნიშანია პირადად ჩემთვის მანდ...

გამოდით, აბა, ნებისმიერი მიშას მოყვარული და თქვით, თქვენც ხმამაღლა თქვით, რომ კითხვის ნიშნები გაქვთ რობაქიძიდან – მოლაშვილამდე...

მაგრამ ვერ (არ) იტყვით!

იცი რატომ? იმიტომ, რომ თქვენ თქვენი ქვეყანა და თქვენი ხალხი კი არა – მიშა გიყვართ! ალბათ, როგორც მამაკაცი მოგწონთ, ან არ ვიცი...

აბა მაშინ რას ნიშნავს „მე არ მჯერა რომ მიშამ ეს იცოდა“,

რა არ იცოდა?

მე რომ შენს სადარბაზოში ყველა ბინაში რემონტი გავაკეთო, შპალერი გაგიკრა, ლამაზი ჭაღი დაგიკიდო...

სენსორებზე ლიფტი გაჩუქოთ;

მერე გავიდე და შენს მეზობელს ცოლი გავუუპატიურო, შვილი მოვუკლა..

უტიფრობის და უზრდელობის პიკი

ნინო ახობაძე: როგორი ბოროტი ძალა უნდა იყო, რომ ორად გახლიჩო ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვქონია, ისეთი მურტალი რეჟიმის დროსაც კი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი...

ციხეებში რომ ადამიანებს ღირსებას ულახავდნენ და წამებით სულს ხდიდნენ?

კაი, დავუშვათ არ იცოდა;

ჯერ, რას ქვია „არ იცოდა“, მაგრამ ნუ, დავუშვათ, ახლა ხომ იცის?

და რაღა ნამუსით უნდა ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება?

როგორ? განა მისი პასუხისმგებლობა არ არის ის რომ „არ იცოდა“?

თქვე კაი ხალხო, სუპერმარკეტის მოლარეს რომ ორი ლარი გაეპაროს სადმე, იმას სამსახურიდან უშვებენ!

მასწავლებელს თუ გადაცდომა მოუვიდა, სკოლის დირექტორს ხსნიან სამსახურიდან;

ბანკის ვალი თუ დროზე ვერ გადაიხადე, თავმდებს აკისრებენ ვალდებულებას (რომელიც არაფერ შუაშია).

დაპრეზიდენტი ვიყო, ასობით დედამ ჩემი მმართველობის დროს შავები ჩაიცვას, იმიტომ რომ მათი შვილები ჩემმა რეჟიმმა დახოცა(!) და მე ამ დროს ჭურში ვზივარ, არ ვიცი, რა ხდება?!

და რომ გავიგებ რაღანაირად მექნება გონორი და პრეტენზია – ისევ იგივე სკამზე დამსვან?

* * *



და თან ეს ყველაფერი კამერით გადავიღო..

– რადგან შენ არ შეგეხე, დაიფიცებ ამის მერე ისევ ჩემს მზეს?

შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია!

* * *

წამყვანი ჟურნალისტი (მებრძოლი ინგა) არის მხარე; პარტიის რუპორი!

და ეს ჟურნალისტი მე დღეს თავს მამადლის, რომ ის წარმოადგენს „თავისუფალ მედიას“

მეტი ცინიზმი რაღა გინდათ?

ნანული ჟორჟოლიანმა გამოგვიცხადა,ა რომ „თუ მიშა აღარ იქნება, ქვეყანაც ნუღარ იქნებაო“!

ვიღაცა პატარა გოგო-ბიჭები დარბიან და მიკროფონებს პირში ტენიან დედისტოლა ქალებს!

უზრდელობის, გაუნათლებლობის, უტიფრობის პიკია გარშემო;

* * *

ყველას გვინახავს ფილმები, სადაც კრიმინალს ვინმეს, დამნაშავეს რომ ციხეში სვამენ, რაღაცნაირი თანაგრძნობის განცდა გიჩნდება, როცა ეს ტიპი ინანიებს და აღიარებს დანაშაულს (რაც არ უნდა ცუდი ტიპი იყოს)

და ასევე გვინახავს ფილმები სადაც დაჭერილი ვინმე მანიაკი ზის „კლეტკებში“ და სასამართლოზე ხარხარებს, მის მიერ მოკლული გოგონების მშობლებს აბუჩად იგდებს; არ აღიარებს დანაშაულს;

და ამ დროს ამ ვიღაცა პერსონაჟის მიმართ გვიჩნდება საშინელი აგრესია, გვეზიზღება, ვმწარდებით...

სხვას რას აკეთებს დღეს სააკაშვილი?

* * *

ეგ რომ კაცი იყოს, „სგუშჩონკის“ ბანკებთან ერთად ტრაილერით კი არ შემოიძურწებოდა ქურდულად და ბანძურად!

ჩამოვიდოდა, ჩაჯდებოდა, მოიხდიდა სასჯელს...

და ადამიანობის ნატამალი რომ გააჩნდეს,

იმ ბიჭების დედების რომ ოდნავ რცხვენოდეს,

და ერთი ბეწო პასუხისმგებლობას რომ გრძნობდეს,

კი არ იშიმშილებდა, ამ ცირკს კი აღარ მოაწყობდა,

და იმ თავის ხელის ბიჭებს (გვარამიებს და ვიღაცა ნაყიდ შნირებს) კი არ მისცემდა ქვეყნის საზიანო მითითებებს...

იჯდებოდა კაცურად და წლების მერე რომ გამოვიდოდა, იქნებოდა ჩემს თვალშიც კი რეაბილიტირებული ტიპი!

მაგრამ, სად შეუძლია აბაა?

არ ვუსურვებ სიკვდილს, არც უბედურებას;

არ ვარ ბოროტი;

მის მომხრეებს მინდა გკითხოთ:

რა გიყვართ მასში?

გასაგებია, რომ არ მოგწონთ დღეს: გაძვირებული პროდუქტი, გაძვირებული წამლები, ბენზინი... კიდევ, ალბათ, ბევრი რამ არ მოგწონთ, მაგრამ ამის გამო როგორ უნდა ინატრო კაცი, რომელიც სისხლში ტივტივებს და რაც მთავარია – თავს დამნაშავედ არ ცნობს!!!

მიშაში რა გიყვართ?

– თქვენი შვილები რომ არ დახოცა-ეეგ?

ჯვარი სწერია ყველას შვილს, მის შვილებსაც...

* * *

ღმერთმა ადამიანს მისცა სინანულის შეგრძნება, ყველა ვაშავებთ, მეტ-ნაკლებად და როცა მე შენ გატკენ, თუნდაც ჩემდაუნებურად და მერე მოგიტრიალდები და დაგცინებ, გონორით დაგელაპარაკები, არაფრად ჩაგაგდებ და ჩემს დანაშაულს არ ვაღიარებ, მაშინ იცოდე, რომ ჩემში ადამიანი მოკვდა, რომ ვარ ფიზიკურად ცოცხალი, ოღონდ ვარ ღორი.

ბინძური, ტალახში ამოსვრილი ღორი და ჩემზე უარესი მხოლოდ ისღაა, ვინც უკანალზე მკოცნის, მაქებებს და მაქებს.

აი, ახლა გინდა წამშალეთ, გინდა დამტოვეთ...

იმდენი მყავს და მაქვს ამ ცხოვრებაში დაკარგული, როგორმე მოგინელებთ.

ცხადია, ეს არ ეხება ჩემი ბავშვობის მეგობრებს.

ეს ის სიყვარულია, რომელიც ყველას და ყველაფერს წონის, რა ვქნა...

* * *

დაბოლოს: ერთი ბიჭიც რომ მოეკლათ მის მაღალჩინოსნებს მისი პრეზიდენტობის დროს, მას ამის მერე – მორალური, ადამიანური, კაცური უფლება აღარ აქვს კიდევ ამ სკამზე აბობღდეს!

შუაღამეა. ვზივარ და მეფიქრება, როგორი ბოროტი ძალა უნდა იყო, რომ აი, ასე ორად გაგვხლიჩო ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან გასაყოფი და საჩხუბი არაფერი გვქონდა, ისეთი მურტალი რეჟიმის დროსაც კი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი...

დავიღალე!!!

„ᲙᲝᲜᲡᲞᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“!..

ᲬᲐᲐᲒᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲪ!

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ამ სათაურით 2018 წელს გამოქვეყნდა ჩემი სტატია, რომელშიც ვწერდი ოპოზიციის დამარცხების შესახებ და დღეს, როცა გადავხედე წინასაარჩევნო პერიოდს, გადავხედე არჩევნების მინდინარეობას, იმ ემოციებს, თუ პრაგმატულ სვლებს, რაც საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ, დავრწმუნდი, რომ ოპოზიციამ დამარცხებისთვის ყველაფერი მაქსიმალურად გააკეთა.

არ დავიწყებ მათი მოქმედებების ფართოდ განხილვას, რადგანაც ამის შესახებ არა მარტო ფბ-ში, არამედ სხვადასხვა მედია საშუალებებში საკმაოდ ბევრი ინფორმაცია იყო. უბრალოდ მშრალ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ ბოლო დღეებში მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებთან და ჩემ მცირე კომენტარებთან ერთად:

1. ᲐᲠᲐᲐᲓᲔᲙᲕᲐᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ.

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, რომელიც ფაქტობრივად მომწიფებულია დასავლური, ნორმალური არჩევნებისთვის, რეალური პროგრამების ნაცვლად შესთავაზეს რაღაც ფარული ჩანაწერები, რომელთა ავთენტურობა საკმაოდ დიდ ეჭვს იწვევს. დაუპირისპირდნენ პატრიარქს და ეკლესიას. მუნიციპალიტეტების განვითარების პროგრამების ნაცვლად, იყო მხოლოდ — გავყრით, გავაგდებთ და მსგავსი ლოზუნგები. მეორე ტურში გაისმა ყოვლად არარეალური დაპირებები, რომელთა გადაწყვეტა ადგილობრივ თვითმმართველობებს კანონით არ შეუძლიათ (პენსიების მომატება, შერიფის არჩევა, უფასო კვება და ა.შ.)

ამ აგრესიას და ხალხის გამაღიზიანებელ განცხადებებს მუდმივად აგრძელებენ. მაგალითად, **ხატია დეკანოიძის** ერთ-ერთი ბოლო „მარგალიტი“ — უნდა გვესმოდეს, რომ არჩევნები არ არის ადამიანების ნების გამოხატულება, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური საკითხი.

როცა ხალხის უმთავრეს უფლებას, გააკეთოს არჩევანი და ამ ფორმით გამოხატოს თავისი ნება, ასეთი ფორმით აღიქვამ, როდესაც **სალომე სამადაშვილი** თავისი თბილი ოთახიდან მომხრეებს მოუწოდებს სიცივეში პარლამენტთან გავიდნენ, რათა „ქვეყნის მარილად“ მისი ყოფნა შეუნარჩუნონ და ხალხისადმი, ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი მსგავსი დამოკიდებულებები გაქვს, მუდამ წააგებ.

წააგებ არა მხოლოდ არჩევნებს, წააგებ უმთავრესს — ადამიანობას, რაც დიდი ხანია, ამ პარტიის წევრებს წაგებული აქვთ.

2. ᲐᲮᲐᲚᲘ სახეების სიმწირე. წარმოდგენილი კანდიდატები ძირითადად ის ხალხი იყვნენ, რომლებიც სრულად ასოცირდებოდნენ ნაცების რეჟიმთან, რამაც, ბუნებრივია, საზოგადოებაში შინაგანი წინააღმდეგობის განცდა გამოიწვია.

3. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მთავრობის აბსურდული დაკომპლექტება, რომელიც თითქოსდა შეიფუთა როგორც კოალიციური ხელისუფლება, ხოლო სინამდვილეში ნაციონალური მოძრაობის ფასადური შელამაზება უფრო იყო.

პრინციპში, რამდენს ეწყინებოდა ჩრდილოვან კაბინეტშიც რომ არ დაასახელეს!..

ამისთვის „იდგნენ წვიმაში“? არა, რა, პენსიების მომატებისა არ იყოს, მაგრად გაძუნწდა ეს მელია.

დანიშნე 500 მოადგილე, 1000 სამსახურის უფროსი, 5000 განყოფილების გამგე. შენი რა მიდის?

ერთბაშად ხელფასის მიცემა არ მოგიწიოს თვის ბოლოს.

ეეეჰ, არა რა...

4. ᲐᲞᲔᲚᲘᲠᲔᲑᲐ ყოვლად ურეიტინგო და ფაქტობრივად პენსიაზე გასული დასავლელი დიპლომატებისა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეშფოთებულ წერილებზე, რაზეც საზოგადოებას სრულიად ადეკვატური რეაქცია ჰქონდა. ნაცებისადმი ე.წ. გავლენიანი არასამთავრობოების აშკარად გამოხატული მხარდაჭერა და სრულიად იდიოტური განცხადებები.

მაგალითად ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის, ნინო დოლიძის შეფასება:

არჩევნების მეორე ტური არის გაშვებული შესაძლებლობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, — **ე.ი. ამისი ჰაზრით ნაცები და დემოკრატია ერთი და იგივეა?..**

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების მიერ საარჩევნო კომისიებში შეტანილია 161 საჩივარი და 22 შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში — **საჩივრები რაოდენობისთვის!..** ცხადია, რომ რაღაც დარღვევები იქნებოდა, მაგრამ არა ისეთი, შედეგებზე გავლენა რომ მოეხდინა.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲨᲔᲪᲙᲠᲔᲑᲘᲡ, ᲐᲛᲝᲛᲐᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ, ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲐᲛᲝᲛᲐᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲖᲔ — ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ „ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ“ ᲢᲘᲞᲔᲑᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲡ“ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲪᲓᲜᲔᲜ. ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲡᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ“ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲨᲔᲪᲙᲠᲔᲑᲐ? ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲚᲔᲠᲔᲑᲘ „ᲞᲐᲠᲐᲮᲝᲓᲛᲐ ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ, ᲡᲕᲝᲘ ᲑᲘᲭᲛᲐ ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲘ ᲐᲬᲘᲐ“ ᲓᲐ „ᲨᲔ ᲨᲝᲑᲔᲚᲥᲐᲚᲚᲝ ᲡᲣᲓᲘᲐ, ᲠᲐ ᲓᲐᲒᲘᲨᲐᲕᲔ ᲪᲣᲓᲘᲐ“.

5. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, „ქართულ ოცნებასაც“ ჰქონდა გარკვეული შეცდომები, რაც ძირითადად, იმ კოჰაბიტაციის შედეგი უფრო იყო, რომლის დასრულებაც ხალხის არა მხოლოდ სურვილად, არამედ, უკვე მოთხოვნად იქცა, მაგრამ პრემიერისა და სრულიად ლიდერშიპის განცხადებებმა, საზოგადოებას კოჰაბიტაციური ჭირის მოშორების იმედი მისცა. ბუნებრივია, ნაცმედიის მხრიდან ეს განცხადებები შეფასდა როგორც აგრესია, მაგრამ ამ შეფასებებმა საზოგადოება კიდევ უფრო გააფაციცა და სასწორის პინა „ოცნების“ მხარეს გადაიხარა.

6. ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ მიმდინარეობის პროცესის, რომელიც ფაქტობრივად კანონის სრული დაცვით მიმდინარეობდა, არაადეკვატური შეფასებები კვლავ გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცა, ხოლო მედიის აგრესია მოქალაქეებს მიმართ, ბუმერანგრის მსგავსად დაბრუნდა.

7. ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, იყო ის გაღიზიანება, რომელიც დაკავებული ექსპრეზიდენტის დასაცავად ნაციონალური მოძრაობის გადადგმულმა ნაბიჯებმა გამოიწვია. ნათლად გამოჩნდა, რომ ექსპრეზიდენტის პერსონა თავად ე.წ. ოპოზიციურ კოალიციაშიც და რაც მთავარია, ნაცმოძრაობის ლიდერ-შიპშიც საკმაოდ მიუღებელია და მისი მხარდამჭერი აქციები, თუ გულის ამაჩუყებელი, ბატიფეხური წერილები, არა პოლიტიკური სპექტრის, არამედ ცალკეული პიროვნების გრძნობები იყო და არა რაიმე მასობრივი შეშფოთების გამოხატვა.

* * *

ᲐᲮᲚᲐ ოდნავ მისტიკაში და ნუმეროლოგიაში გადავალ და ვიტყვი, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ გამოვიდა ბოლშევიკური ქვეცნობიერისგან. დიახ, სწორედაც რომ ბოლშევიკურ! პირველ რიგში ის, რომ ციფრი 5 მათთვის საკრალური მნიშვნელობისაა (1917 წელს არჩევნებზე ბოლშევიკებს სწორედ 5 ნომერი ჰქონდათ მინიჭებული) და მეორეც, 7 ნოემბერი მათში ძალადობის და ბოროტი სურვილების განცდებს იწვევს.

აქციის თარიღის 7 ნოემბრიდან 6 რიცხვში გადმოტანა, ფაქტობრივად, მათ მიერ იმ დანაშაულის აღიარებას წარმოადგენდა, რაც მათ ამ რამდენიმე წლის წინ სწორედ 7 ნოემბერს ჩაიდინეს. ეს კი ძალიან მარტივად გამოჩნდა.

მოკლედ რომ ვთქვა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები „ოცნებამ“ ყველგან მოიგო.

ახლა ის ჭიჭყინი — გაგვიყალბეს, ეგზიტპოლმა აჩვენა და მსგავსი სისულელეები, არა; რა!

ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა და არა მხოლოდ მერები და საკრებულოს წევრები აირჩია, პირდაპირ თქვა — ეს არსებული ე.წ. ოპოზიცია სრულად უნდა შეიცვალოს.

ხალხმა თქვა, რომ სურს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც არის პარლამენტში და საკრებულოში და არა ქუჩაში ცხვრების მორეკვით და რუსთაველზე საბომჟეთის მოწყობით.

ხალხმა თქვა, რომ სურს ქვეყნის განვითარება.

ხალხმა თქვა, რომ საქართველო სახელმწიფოა და არც რაიმე არასამთავრობო სექტორი და არა საექსპერიმენტო პოლიგონი.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

და ხალხმა თქვა — 2024 წლამდე ქვეყანა იწყებს შენებას და ელოდება ნორმალურ, ჯანსაღ პოლიტიკურ სივრცეს, სადაც აღარ იქნებიან გულისამრევი პოლიტიკანები, რომლებმაც საკუთარ თავს „ლიდერები“ დაარქვეს.

სისულელეების და კოჰაბიტაციის დრო დამთავრდა. იწყება სახელმწიფოს გაძლიერება.

ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲓᲐ, ᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲑᲐ. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲠᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ.

ᲐᲠᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲡᲐᲘᲗᲙᲔᲜ

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ კვირას, 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის გამართვა დააანონსა, თუმცა მოგვიანებით თარიღი შეცვალეს. საქმე ისაა, რომ 7 ნოემბრის აქციის დარბევა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს შლეიფად მიჰყვება და 7 ნოემბრის დასახელებამ თავად ოპოზიციის გულშემატკივრებიც კი გაოგნებული დატოვა.

ასე თუ ისე, როგორც ნიკა მელიამ დაიჩხავლა, აქციები გაიმართება, მაგრამ ოპოზიციას სჭირდება დრო ხალხის მობილიზებისთვის.

„ჩვენ ვაპირებთ, რა თქმა უნდა, მაღალი მოტივაციით, უკომპრომისო ბრძოლით, უახლოეს მომავალში ძალიან დიდი ფრონტის ბრძოლის გაჩაღებას. ჩვენ ვაპირებთ სამშაბათს ბათუმში ჩასვლას, ჩვენს მეგობრებთან, რათა იქ ადგილზე ვიყოთ და გავაპროტესტოთ. ვიყოთ ქუთაისში და მომდევნო დღეებში სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გვჭირდება სერიოზული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. გვჭირდება სულ მცირე დრო იმისთვის, რომ პროტესტი, მასშტაბური აქცია, დემონსტრაცია, რომელსაც მთელი მსოფლიო დაინახავს და გაიმართება თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, კვირა დღეს, იყოს მასშტაბური, როგორც არასდროს, მაგრამ ეს აქცია, ეს დემონსტრაცია, რომელიც გაიმართება კვირა დღეს, განსხვავებული იქნება ყველა წინა დემონსტრაციებისა და შეკრებებისგან ბევრი თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, მასშტაბი იქნება იმაზე დიდი, ვიდრე ჩვენ ბოლოს 14 ოქტომბერს ვნახეთ, თუმცა შინაარსი და დატვირთვა იქნება განსხვავებული, ისეთი, როგორიც ამ სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება“, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ფაქტია, მოვლენების დინამიკა იცვლება და ანალიტიკოსთა ნაწილის შეფასებით, შესაძლოა, მოვლენები სწორად იმ სცენარით განვითარდეს, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში არაერთხელ გვინახავს, ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით განხორციელებული.

ანალიტიკურ და პოლიტიკურ

ნუ შევუნდობთ იმას, ვინც ულალატა სამშობლოს!

ნაცების „ლოგიკა“ და ქოცების ულოგიკობა

არაერთხელ მითქვამს, საჯაროდ, რა თქმა უნდა და ახლაც უნდა გავიმეორო: საქართველოში არსებულ ე.წ. პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის არც ერთი პოლიტიკური პარტია არ არის! რატომ, იცით? იმიტომ, რომ ამ გაერთიანებებსა თუ ჯგუფებს, მხოლოდ მათი ორგანიზატორები არქმევენ პოლიტიკურ პარტიებს და, მათი მოკლე ჭკუით, საამისოდ შესაბამის, თანაც „მომხიბვლელ“ სიმბოლურ სახელებსაც უწოდებენ: „გირჩს“, „რკოს“, „ლელოს“, „მდელოს“, „ევროპულ საქართველოს“, „ძალიან ევროპულ საქართველოს“, „ყველაზე ევროპულ საქართველოს“, „სტრატეგია აღმაშენებელს“ და ა.შ.

ერთ ასეთ პარტიას „ევროპული დემოკრატები“ ჰქვია. ერთი ხანობა ვიფიქრე, რომელიღაც ევროპული ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ვიღაც დემოკრატები და აქ დაარსეს პოლიტიკური პარტია-მეთქი, რადგან ჩვენში „პოლიტიკური პარტია“ სარფიანი ბიზნესია. ესენი ევროპიდან კი არა, ერთ-ერთი აქაური პარტიიდან გაქცეულ ოთხ თუ ხუთ კაცს დაუარსებია „პარტია“ და თავიანთი თავისთვის ევროპელები უწოდებიათ, თუმცა სამტრედიის იქით არც ერთი ნამყოფი არ არის.

რამდენი ასეთი პარტიაა საქართველოში, ამის აღრიცხვა ჯერჯერობით არ ხერხდება. არც მიკვირს, რადგან მახსოვს ცხონებული მიხაკო წერეთლის დაკვირვება: სამი ქართველი უსათუოდ ოთხ პარტიას ქმნისო: სამს თავთავიანთთვის, მეოთხეს კი იმიტომ, რომ სამივე იქ შევიდესო. 1924 წელს საფრანგეთში გამოცემულ წიგნში უწერია ეს. 1918-1921 წლებში იმდენი პოლიტიკური პარტია შეიქმნა ჩვენში, რომ იტყოდა მიხაკო წერეთელი ამას, აბა, რას იზამდა!

პოლიტიკურ პარტიას, როგორც ამას ისტორიული გამოცდილებაც და თანამედროვე პრაქტიკაც გვასწავლის, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ოთხი ნიშანი: საკუთარი იდეოლოგია, მიზანი, სადღეისო და პერსპექტიული ამოცანები და საზოგადოებრივ-სოციალური ბაზა. აბა, ერთი მითხრას ვინმემ, რომელი ამ ნიშანთაგანი აქვს რომელიმე დღევანდელ, თუ გუშინდელ ე.წ. „პოლიტიკურ“ პარტიას, ესენი, ერთი რომელიმე, ასე თუ ისე ავტორიტეტული ლიდერის გარშემო ერთიანდებიან და მანამ არსებობენ, სანამ ის ლიდერი ფიზიკურად არსებობს, ან არ გაფარჩაკდება. ასე არ მოუვიდა აგერ გუშინდელ მმართველ პარტიას — „მოქალაქეთა კავშირს“? დაკარგა ხელისუფლება, დაკარგა ლიდერი და ისე გაქრა, როგორც წყალში ჩაყრილი მარილი, დღესაც ჩვენს თვალწინ არ გაიხსნა პოლიტიკურ ნიაღვარში რამდენიმე „რიხიანი“ ე.წ. „პარტია“, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში ერთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

ასეთი გაერთიანებები პოლიტიკური პარტიების კი არა, ბანდის პრინციპით არიან გაერთიანებულები და როგორც კი ბანდის მეთაური ფიზიკურად ან მორალურად ამოყირავდება, ბანდაც იშლება.

ვერავინ დაასახელებს ისეთ იდეოლოგიას, რომელსაც რომელიმე „პოლიტპარტიის“ საქმიანობა, მიზნები და ამოცანები ეფუძნება. ის თუ იდეოლოგია ჰგონია ვინმეს, რომ დაგვიჩემებია, ჩვენ ვართ ევროპელები და ევროპულ ოჯახში უნდა ვიცხოვროთო და მამაო ჩვენოსავით იმეორებენ: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელიო“, ეს იდეოლოგია კი არა, წმინდა წყლის სისულელეა. ქართველი ვარო, რომ იტყვი, ამას ისე სჭირდება „მაშასადამე“, როგორც ინდაურს კურტანი.

სხვა რა „იდეოლოგია“ შეიძლება დაასახელოს ვინმემ? დღენიადაგ იმის ჩიჩინი, რომ „ის“ ქვეყანა ოკუპანტი და მტერია, „ეს“ კი ისტორიული და სტრატეგიული მეგობარიო, იდეოლოგია რომ არ არის, ეს, მე მგონია, რომან გოცირიძემ და ვიღაც ხათუნა სამნიძემაც კი იციან, რომ აღარაფერი ვთქვა თაკო ჩარკვიანსა და მამუკა მდინარაძეზე.

იქნებ რაიმე ორიგინალური, ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები მაინც აქვთ? აპა! ჩვენი მიზანია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებითო, შეშინებული, თუ თვალნაცემი ბავშვივით რომ იმეორებენ გაუთავებლად, ეს არის მიზანი? მტერი არ არის მეტი, ეს სახელმწიფოებრივი მიზანი არ იყოს! ასეც რომ იყოს — თუ ყველას ერთი სტრატეგიული სასიცოცხლო ეროვნული მიზანი აქვს, რას იქაჩებიან აქეთ-იქით კრილოვის ქარიყლაპიასა და კიბორჩხალასავით? თქვე დედ-მამა განათლებულებო (პოლიტპარტიებს მივმართავ), რომელიმე ორგანიზაციაში, თუნდაც საერთაშორისოში, შესვლა შეიძლება ქვეყნის მართვაზე პრეტენზიების მქონე პარტიების სტრატეგიული მიზანი იყოს? იმ ორგანიზაციის წევრობა, რომელშიც შედიან და გამოდიან, როდემდე იარსებებს არც არავინ იცის, და არც არავის აინტერესებს; ვინც იქ შესვლა ეროვნულ მიზნად უნდა გადააქციოს, იმ „პოლიტიკურ პარტიას“ ან მის მხარდამჭერებს ჭკუა თუ მოეკითხებათ, ნეტავი?

ასე თუ ისე, დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური რეალობა არის ის, რომ ორი პარტია იბრალებს პოლიტიკურ ჰეგემონობას და საზოგადოებრივ არენაზე ისეთი შოუებისა და მოჩვენებითი ორთაბრძოლების გამო, რომ ტყუვდება ხალხის დიდი ნაწილი. ისე, ჟანდარმი შვანგირაძე რომ უპასუხებს მუშნი ზარანდიას კითხვაზე: თუ ლაპარაკობს ხალხი თოდუების ამოწყვეტაზე? — „კი, ლაპარაკობენ, მუშნი ბატონო, ლაპარაკობენ და სჯერათ“. აი, ასე სჯერათ ნაცებსა და ქოცებს ის, რაც მათ დააბრალეს: პოლიტიკური პარტიები ხართო. რატომ არ დაიჯერებენ, რა, ერთი ხელისუფლებაშია, მეორე კი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი, ანუ ოპოზიციაა. დანარჩენი აჩია-ბაჩია ორკაციანი პარტიები, ზოგი ნაცებმა შეათრიეს პარლამენტში, ზოგი ქოცებმა, ამიტომ სათვალავში ჩასათვლელები არ არიან.

ხალხის მეხსიერებას რა ვუთხარი, თორემ, ნაცებს რატომ უნდა ჰყავდეს ამდენი მომხრეები?!

როდესაც ხელისუფლებას ფლობდნენ ნაცები, მათ სიტყვასა და მოქმედებებს, თუმცა ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ რაღაც ლოგიკა ჰქონდა. ღოდესაც საკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინ საჯაროდ განაცხადა: მე ქართველებს მენტალიტეტი უნდა შევუცვალოო. ამაზე ქვეყანამ დუმილით რომ უპასუხა, ამან საშინლად აღმაშფოთა, ნუთუ ქართველობა ისე დაჩმორდა, რომ ამ მუქარას (დაპირებას კი არა, მუქარას!) ასე მშვიდად ხვდება-მეთქი. კიდევ კარგი, მალე მივხვდი, რომ უმრავლესობამ მენტალიტეტი რა იყო არ იცოდა, სახლის სახურავი, ან გზის საფარი ასფალტი ეგონა ალბათ. ამიტომ იყო, რომ ისე დაიწყეს ნაცებმა ტრადიციებისა და ეროვნული ცნობიერების ნგრევა, რომ სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ვინც წინ აღუდგა მათ, ცნობილი პატრიოტი მეცნიერივით (გურამ შარაძეს ვგულისხმობ), ხალხის დასანახად ქუჩაში მოკლეს.

რატომ იქცეოდნენ ნაცები ასე? რაიმე ლოგიკა თუ ედო საფუძვლად მათ ამგვარ ქმედებას? დიახ, საზოგადოებისათვის მიუღებელი, ერთობ მავნე და ბოროტი ლოგიკა განსაზღვრავდა მათ მოქმედებას...

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოგვიცხადა ნაცების ბელადმა სააკაშვილმა, ჩემი (თუ ჩვენი) მიზანია მენტალიტეტი შევუცვალო ქართველებსო. ამ დაპირებამ, უფრო კი, მუქარამ არანაირი პროტესტი არ გამოიწვია ხალხში. თითო-ოროლა ადამიანის აღშფოთება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სააკაშვილისა და მის „რევოლუციონერთა“ გუნდს მიაჩნდა, რომ ქართველებს ქურდული მენტალიტეტი ჰქონდათ და სახელმწიფოს (თანაც, ევროპულს) ისე ვერ ააშენებდნენ, თუ ამ მენტალიტეტს არ შეუცვლიდნენ ერს. ასე ბევრი ფიქრობდა მაშინ, რადგან იმ დროს საქართველოს ქურდული ავტორიტეტის მქონენი მართავდნენ. რატომ, იცით? ხელისუფლების ჩინოვნიკებს აღარავითარი ნდობა აღარ ჰქონდათ. ვერ გაიგებდი, პროკურორი, მოსამართლე, რაიკომის მდივანი თუ სხვანი, როდის იქცეოდნენ სახელმწიფოებრივად და როდის საკუთარი ანგარებითი მიზნების შესაბამისად. ამიტომ იქცნენ იმ პერიოდში ქურდული ავტორიტეტები სხვებზე სამართლიან და საიმედო ადამიანებად. ამიტომ მიმართავდნენ ადამიანები დახმარებისთვის მათ და არა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

იხ. 9 გვ.

წრეებში არც იმას გამორიცხავენ, რომ დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები, პერმანენტული და მასშტაბური აქციები, რასაც საბოლოოდ მოსალოდნელია, რომ მხოლოდ ერთი დასასრული ჰქონდეს — ვითარების ესკალაციის შედეგად, ქვეყანაში კიდევ ერთი რევოლუცია და სამოქალაქო დაპირისპირებაც კი.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შიმშილს არ წყვეტს და „ნაცმოძრაობა“ და მისი „სექტა“ მზად არის, თავისი „ბელადისთვის“ ყველაფერი გააკეთოს და ექსპრეზიდენტი საპატიმროდან დაიხსნას.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ სცენარი სწორად ისე ვითარდება, რაც უშუალოდ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს აქვთ გაწერილი. სახელმწიფო უსაფრთხოების მიერ გასაჯაროებული ჩანაწერები სწორედ ამის დამადასტურებელი საბუთია. ანჯაფარიძის განცხადებითვე, რევანშისა და სამოქალაქო დაპირისპირების რისკი მაღალია:

„ველოდებოდი მოვლენების ისეთ განვითარებას, რა სცენარითაც ახლა ვითარდება. სამწუხაროდ, ალბათ, უნდა ველოდოთ აქციებს და ზუსტად იმ სცენარის განმეორებას, რაც აღწერილი იყო სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებში, სადაც სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მაიდნის სცენარს განიხილავდნენ. არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ოპოზიციას სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ ვა-ბანკზე წავიდეს. ადგილობრივ არჩევნებზე, რომელიც მან რეფერენდუმად გამოაცხადა, როგორც ვხედავთ, ამომრჩეველთა უმრავლესობამ „ქართულ ოცნებას“ ნდობა გამოუცხადა.

ოპოზიციამ მიიღო ძალიან სერიოზული დარტყმა და მას არჩევნების შედეგები რომ ეღიარებინა და ეთქვა, რომ ელოდება 2024 წელს, რა თქმა უნდა, ეს მას ამომრჩეველს დააკარგვინებდა და ზოგიერთ პარტიას შესაძლოა ვერც კი მიეღწია საპარლამენტო არჩევნებამდე. ამიტომაც აირჩიეს ის ერთადერთი გზა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საკუთარი პოლიტიკური არსებობა გაიხანგრძლივონ და შეეცადონ კიდევ ერთხელ, ხელისუფლების შერყევას, რომ ამჯერად მაინც გამოუვიდეთ. შეიძლება საერთაშორისო წრეების იმედი აქვთ, მაგრამ ამაში არ ვარ დარწმუნებული, რადგან არავის სურს საქართველოში ახალი დესტაბილიზაცია და სამოქალაქო დაპირისპირება, თუმცა, ოპოზიცია იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილი დღეს ციხეშია და ვიცით, მისი მიზანი რაც არის, ვფიქრობ, რომ ყველაფერი იმ სცენარით მიდის, რაც პრინციპში, ადგილად პროგნოზირებადი იყო.

ოპოზიცია მიდის ვა-ბანკზე, რამდენად გამოუვათ რევოლუციური სცენარი და რამდენად წარმატებული იქნება, ეს ძალიან ბევრ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული — რა რაოდენობის ხალხი გამოვა, რამდენად შეძლებენ, რომ აქციას მისცენ პერმანენტული ხასიათი, რომ საპროტესტო აქციებზე მუდმივად იდგეს ბევრი ხალხი და სახლში აღარ წავიდეს, როგორი იქნება საერთაშორისო მხარდაჭერა, ექნება მას სიმპათიები თუ არა, იქნება ხელისუფლებაზე ზეწოლა, თუ მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდებენ.

გარდა ამისა, თვითონ ხელისუფლება როგორ მოიქცევა, ამაზეც არის დამოკიდებული, დაუშვებს თუ არა ის შეცდომებს მომიტინგეებთან მიმართებაში, თუ მომიტინგეებმა გადაწყვიტეს რადიკალური გზით მოქმედება. ჩანაწერებში საუბარი იყო, რომ შესაძლოა, რამდენიმე ადამიანი დაზიანდეს. ოპოზიციას უკან დასახევი გზა აღარ დარჩა. მათ განიცადეს პოლიტიკური მარცხი. ამიტომ ახლა ისინი შეეცდებიან, რადიკალური გზით მიაღწიონ შედეგს, რამდენად გამოუვათ, ამას პროცესების დინამიკა დაგვანახებს“, — განაცხადა ზაალ ანჯაფარიძემ.

ნიკო ჩოხელი

ამერიკის საელჩო: წინ კიდევ ბევრი სამუშაოა სასწრაფოდ შესასრულებელი!

...**ჩვენ ვიზიარებთ** ოდირის შეფასებას, რომ არჩევნები მთლიანობაში იყო მშვიდი და კარგად ორგანიზებული, თუმცა, ბრალდებები ამომრჩეველთა დაშინებისა და ზეწოლის შესახებ შენარჩუნდა და განგრძობადმა პოლარიზაციამ, რომელსაც თან ახლდა უარყოფითი რიტორიკის გამწვავება, პროცესზე უარყოფითად იმოქმედა. რესურსების მკვეთრმა დისბალანსმა და ხელისუფლებაში ყოფნით განპირობებულმა შეუსაბამო უპირატესობამ საასპარეზო პირობები შეცვალა. ოდირმა ასევე გამოთქვა წუხილი იმ განგრძობად პრაქტიკასთან დაკავშირებით, როდესაც სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქმედებდნენ, როგორც პარტიის მხარდამჭერები და დროდადრო ხელს უშლიდნენ პროცესს, ასევე ცალკეული ადამიანების ჯგუფები ზოგიერთი საარჩევნო უბნების გარეთ, სავარაუდოდ, ზეგავლენას ახდენდნენ ამომრჩევლებზე. მიუხედავად ოდირის დადგენილებისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მეორე ტური პროფესიონალურად და გამჭვირვალედ წარმართა, კვლავ გამოითქვა შეშფოთება ქვედა დონის საარჩევნო კომისიების მიკერძოებასთან დაკავშირებით. აშშ-ის საელჩოს სადამკვირვებლო ჯგუფები შეესწრო მსგავსი მიკერძოებისა და ჩარევის ფაქტებს რამდენიმე უბანზე.

როგორც ამ არჩევნებმა გვიჩვენა დემოკრატია მუდმივი ძალისხმევის პროცესია, რომელიც მოითხოვს ერთგულებას უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების მიმართ და სიფხიზლეს მოქალაქეების დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთმა რეფორმამ, რომელიც ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ინკლუზიური და მრავალპარტიული პროცესის შედეგად წლის დასაწყისში მიიღეს, როგორიც არის ავტომატური გადათვლის პროცესი და ელექტრონული ხმის მიცემა, მნიშვნელოვნად გაზარდა ხმის მიცემის პროცესის გამჭვირვალობა.

სამწუხაროდ, ეს პოზიტიური ნაბიჯები შეასუსტა წინა საარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს ფართოდ გავრცელებულმა დარღვევებმა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოქალაქეების მიერ ხმის თავისუფლად მიცემის შესაძლებლობაზე. იმის ნაცვლად, რომ გარემო გაუმჯობესებულიყო იმ პრობლემების გადაჭრით, რომელიც საარჩევნო დამკვირვებლებმა არჩევნების პირველი ტურის დროს გამოავლინეს: დაშინება, შეურაცხმყოფელი რიტორიკა, ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენება, ხმების აშკარად მოსყიდვის შესახებ ცნობები და სხვა დარღვევები გაგრძელდა, პოლიტიზებული მედია კი კიდევ უფრო ამწვავებდა პოლარიზებულ გარემოს.

ჩვენ განსაკუთრებით გვაშფოთებს სარწმუნო ცნობები საარჩევნო დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის შესახებ, როგორც პირველი ასევე მეორე ტურის განმავლობაში. ეს ჯგუფები ნებისმიერი დემოკრატიის ქვაკუთხედია და თავდასხმები მედიისა და საარჩევნო დამკვირვებლების მიმართ უნდა იყოს გამოძიებული და გასამართლებული კანონის სრული სიმკაცრით. მათი ცნობები უნდა იყოს მიჩნეული, როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც საარჩევნო პროცესის გაუმჯობესება შეუძლია.

ამჟამად საარჩევნო პროცესი გრძელდება სულ მცირე 140 უბანზე შემთხვევითი გადათვლებით და ასობით საჩივრის განხილვით. ეს ფაზა არის ტესტიცა და შესაძლებლობაც ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოებისთვის. ამ ინსტიტუტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება, თავიანთი მოვალეობა გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად შეასრულონ. ჩვენ მოვუწოდებთ მხარეებს, გამოიყენონ სამართლებრივი მექანიზმები და მშვიდობიანი გზები საარჩევნო დავების განსახილველად. საქართველოს დემოკრატია ვერ გაძლიერდება ძალადობითა და კანონის მიღმა საკითხის მოგვარებით.

თითოეული არჩევნები, ხარვეზიანიც კი, გამოცდილებაზე დაყრდნობით სწავლისა და რეაგირების შესაძლებლობაა განმეორებად დარღვევებზე, რომელმაც დააზიანა ეს არჩევნები და თანდათანობით შეარყია ხალხის ნდობა დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, მოვუწოდებთ საქართველოს ლიდერებს ყველა იმ დანარჩენი რეფორმის მიღებისა და განხორციელებისკენ, რომელიც რეკომენდებულია ეუთოჰოდირის, ვენეციის კომისიისა და სხვა საერთაშორისო ექსპერტების მიერ. აღნიშნული რეკომენდაციები პარლამენტის მოთხოვნის შედეგადაა წარმოდგენილი და წინა არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მომავალი არჩევნების გაუმჯობესებისკენ.

ამერიკელი ხალხი მხარს უჭერდა და უჭერს ქართველი ხალხის ძალისხმევას დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების, პროფესიონალი პლურალისტური მედიისა და ხალხის მიმართ გულისხმიერი მთავრობის ჩამოყალიბების ხანგრძლივ და გამოწვევებით აღსავსე პროცესში. ამ ბოლო არჩევნებმა და საქართველოს განხეთქილების გამომწვევმა ღრმა პოლიტიკურმა კრიზისმა ცხადყო, რომ წინ კიდევ ბევრი სამუშაოა სასწრაფოდ შესასრულებელი. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სთავაზობს მეგობრობასა და მხარდაჭერას როგორც გულწრფელი პარტნიორი, რადგანაც გვჯერა საქართველოსი, როგორც სტაბილური და წარმატებული დემოკრატიისა, რომელიც პატივს სცემს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. ჩვენ კვლავ ერთგული ვართ, დავეხმაროთ საქართველოს ამ მიზნების მიღწევაში.

ბიულეტენები გადათვალეს, ყველაფერი წესრიგშია!

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ბიულეტენების გადათვლის პროცესი წარმატებით დასრულდა. როგორც ცესკოს პრესსპიკერმა გუშინ განაცხადა, გადათვლის ცენტრებში 201 საუბნო საარჩევნო კომისიის მონაცემები არის ხელახლა დათვლილი.

კომისიის განმარტებით, წინასწარი ანალიზის საფუძველზე, გადათვლას მეორე ტურის წინასწარ შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

„პროცესი წარიმართა გამჭვირვალედ, რომლის მონიტორინგის შესაძლებლობაც ჰქონდა ყველა უფლებამოსილ პირს, — როგორც მედიას, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს. დღეს ვიხილეთ, თუ რაოდენ მაღალი იყო გადათვლის მიმართ საზოგადოების ინტერესი. უფლებამოსილი პირების აქტიური ჩართულობა კი ასევე მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ამ პროცესის გამჭვირვალობას.

საარჩევნო ადმინისტრაციას, საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში ჰქონდა წილისყრით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილი 5-5 უბნის მონაცემების გადათვლის ვალდებულება. თუმცა, ცესკო-ს თავმჯდომარის რეკომენდაციით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა წილისყრით გამოავლინეს 7-7 საუბნო საარჩევნო კომისია, შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ ჯამში 201 უბნის მონაცემი გადავითვალეთ. აღნიშნული კი კიდევ უფრო ცხადყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი წინასწარი შედეგების სიზუსტეს. საარჩევნო რეფორმის საფუძველზე განხორციელებულმა გადათვლის პროცედურებმა უკვე პირველი ტურის შემდგომ გვაჩვენა, თუ როგორ შეუწყო აღნიშნულმა ხელი პროცესის გამჭვირვალობას და ზოგადად საარჩევნო პროცესის გაჯანსაღებას. წინასწარი ანალიზის საფუძველზე, ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადათვლას მეორე ტურის წინასწარ შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

ირაკლი კობახიძე: 6-თვიანი საუბარი საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაზე სრული ფარსი და სიცრუე იყო

30 ოქტომბერს დასრულდა არა მხოლოდ თვითმმართველობის არჩევნები, არამედ დასრულდა ერთწლიანი ძალიან რთული პოლიტიკური პროცესიც, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პარლამენტის საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

„ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენ არაერთი სირთულე გამოვიარეთ, ეს იყო პანდემიის გამო შექმნილი ეკონომიკური პრობლემები, სოციალური პრობლემები, 6-თვიანი ხელოვნური პოლიტიკური კრიზისი, სახელმწიფო ინსტიტუტების საბოტაჟი, პოლიტიკური შანტაჟი და ამ ფონზე ციხიდან გაშვებული ორი დამნაშავე, ასევე პრემიერ-მინისტრის მხრიდან ღალატი ქვეყნისა და ჩვენი გუნდისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, რისი ლოგიკური გაგრძელება იყო მის მიერ პარტიის შექმნა და არჩევნებში მონაწილეობა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ დამაჯერებლად მოვიგეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ასევე მოვიგეთ ე.წ. რეფერენდუმიც და 47%-იანი მაჩვენებლით, პრაქტიკულად, გავიმეორეთ შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ამ შედეგმა არა მხოლოდ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ხალხის ნდობა „ქართული ოცნებისადმი“, არამედ დაამტკიცა, რომ 6-თვიანი საუბარი საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაზე სრული ფარსი და სიცრუე იყო“.

დავით ზილფიმიანი: წადით, დაცალეთ პოლიტიკური ველი, რომ ჯანმრთელი ოპოზიცია გაღვივდეს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დავით ზილფიმიანი, გუშინ პარლამენტის სხდომაზე, „ნაცმოძრაობის“ საპროტესტო აქციებს გამოეხმაურა და ამ პარტიას პოლიტიკიდან წასვლისკენ მოუწოდა.

„თუ მოხდა ისე, რომ ამ ქუჩის აქციებმა საზოგადოებაში სამოქალაქო კონფლიქტი გამოიწვია, პირველ რიგში ისევ თვითონ წაილეკებიან. ყველაზე ცუდი, რაც ვერ გაიგეს არის ის, რომ ყველაფერი გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის თაფლი მიეცა, მურაბა მიეცა, გადაერჩინა.. ახლა თვითონ აგრძელებენ აქციებს, იმის მაგივრად, რომ წავიდნენ და დაცალონ პოლიტიკური ველი“, — განაცხადა ზილფიმიანმა. მისი თქმით, იმისთვის, რომ ქვეყანაში ვითარება შეიცვალოს და პოლიტიკური სპექტრი განვითარდეს, „ნაცმოძრაობა“ ამ სფეროდან უნდა წავიდეს. **„პოლიტიკური ველის დაცლაა ერთადერთი გამოსავალი იმისთვის, რომ გაღვივდეს და გაიზარდოს ჯანმრთელი ოპოზიცია. რა მობილიზაციაც არ უნდა იყოს, ხალხის ის დიდი მასა, ვინც ნახა „ნაცმოძრაობის“ წარსული, არ დაუშვებს ხელისუფლების ცვლილებას იმ კოალიციით, რომელშიც შედის ეს პარტია. წადით, დაცალეთ პოლიტიკური ველი. ქუჩაში კი არ უნდა წახვიდეთ, ღმერთმა მოგცათ იმის საშუალება, რომ ამ ბოროტებაზე არავინ არ გაგებინათ პასუხი“...**

შალვა პაპუაშვილი: განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები აანონსებენ სამოქალქო დაპირისპირებას

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შალვა პაპუაშვილი, დღეს სესიაზე თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ შერჩეულ უბნებზე ხმების დათვლის პროცესსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არჩევნებთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებას გამოეხმაურა. პაპუაშვილის თქმით, რიგ უბნებზე ხმების ხელახლა გადათვლის შედეგად, კახა კალაძეს ამომრჩეველთა ხმები დაემატა.

„გუშინ ჩატარდა შემთხვევითი წესით შერჩეული უბნების გადათვლა, 201 უბანი გადაითვალეს უკვე, რაც არის უბნების 11%. მაგალითად თბილისში ამ გადათვლის შედეგად კახა კალაძეს დაემატა 12 ხმა, ხოლო ნიკა მელიას დააკლდა 10 ხმა. ეს რეალობა იქნებოდა პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი, სამწუხაროდ, რომ არა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან ოპოზიციისთვის კვლავ კვერის დაკვრა. აღმოჩნდა რომ „სამართლიანი არჩევნები“ განზრახ უმალავდა საზოგადოებას ერთი თვის განმავლობაში ნამდვილ რიცხვებს. საბედნიეროდ განსხვავებით შარშანდელისგან, როდესაც 26 ორგანიზაცია აწერდა ხელს არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებას, წელს მათგან მხოლოდ 16 დარჩა, თუმცა მათ შორის არიან „სამართლიანი არჩევნებიც“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობაც“, — აღნიშნა პაპუაშვილმა.

შალვა პაპუაშვილი ასევე არჩევნებთან და პარტიების კამპანიასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ განცხადებას გამოეხმაურა. **„ჩახედეთ ანგარიშებს და ნახავთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 200 000 ლარი დახარჯა მხოლოდ ფასიან რეკლამაში, სატელევიზიო რეკლამაში, მაშინ როდესაც „ქართულ ოცნებას“ 20 000-იც კი არ დაუხარჯავს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როდესაც ამ განცხადებაში არასამთავრობო ორგანიზაციები აანონსებენ სამოქალქო დაპირისპირებას. სამწუხაროა, როდესაც ისინი ამას აკეთებენ“,** — აღნიშნა პაპუაშვილმა.

იაგო ხვიჩიას გულწრფელი აღიარება

„**გვინდა, რომ ეს პარლამენტი უკეთესი გავხადოთ და მიხარია, რომ, ზოგადად, მმართველი პარტიის რიტორიკა, რაღაც თვალსაზრისით, არის შეცვლილი. მოდით, გავიაზროთ, ვინ მიაყენა ამ პარლამენტს ყველაზე დიდი რეპუტაციული ზიანი და რა ფაქტორები იყო ის, რის გამოც ამ პარლამენტს ასეთი ზიანი მიადგა. დავიწყოთ ოპოზიციით, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობით“, რომლებიც აქ რომ იყვნენ, მაშინაც კი ამბობდნენ, რომ ეს პარლამენტი ბუტაფორიაა, გაყალბებულია, ჩვენ ტყუილად ვართ, ანუ, ზოგადად ხდებოდა ე.წ. „გაპუსწიაკება“ ამ პარლამენტის მთელი ოპოზიციის ლიდერშიფის მიერ. რა ხდებოდა ხელისუფლების მხრიდან: ზუსტად იმავეს და უფრო წარმატებით აკეთებდა ხელისუფლება მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, არაფერზე ლაპარაკობდა გარდა „ნაცებთან“ ჩხუბისა. არც ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა სერიოზული მსჯელობა. მე ვერ მოვისმინე კონკრეტული პოზიცია, ვის რა უნდოდა მმართველი ძალიდან, რომ ამ პარლამენტისგან გამოსულიყო, რა საკითხზე იყო წამსვლელი, რის რეფორმას აკეთებდა მართლა, ოღონდ არა სატელევიზიოდ, არამედ მართლა. ამისთვის ხომ „ქართული ოცნების“ არც ერთი დეპუტატი არ ყოფილა მზად. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, რა იყო ამის მიზეზი, ზოგადად, აქამდე რა ხდებოდა. მაგრამ მე მგონია, რომ მთავარი პრობლემა ამ პარლამენტის, მდგომარეობს იმაში, რომ „ქართული ოცნების“ წევრები, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება, არავის მიიჩნევდა მის თანასწორად და არასდროს შემოდიოდა თანასწორ საუბარში. ჩემი აზრით, ეს თუ ასე გაგრძელდა, არაფერი გამოვა აქედან. მინდა, რომ როგორც მე გეპყრობით პატივისცემით და სერიოზულად გისმენთ, როდესაც რაღაც გაინტერესებთ, ზუსტად იგივე ხდებოდეს ჩვენს შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ უფრო მდიდრები ხართ, უფრო მეტი წარმატება გინახავთ ცხოვრებაში, ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებსაც ამ დარბაზში არავინ ეუბნება როდის შემოვიდეს, როდის გავიდეს, რას დააჭიროს ხელი, რა აზრი გამოთქვას და ეს არავისთან არასდროს თანხმდება, გარდა იმ ხალხისა, ვინც ამ აზრს უშუალოდ ამბობს.**

მოდი, გავაგრძელოთ ურთიერთობა, როგორც თანასწორმა ადამიანებმა და როცა მე დავინახავ იმას, რომ თქვენ მართლა დაგაინტერესათ რამემ, რასაც ოპოზიცია ლაპარაკობს, ჩემი აზრით, მაშინ იქნება ეს პარლამენტი. მე მინდა თქვენთან თანამშრომლობა იმიტომ, რომ ვფიქრობ, ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს დასმული საკუთარ თავთან შეკითხვა - რა გვინდა, ერთი საკითხი მაინც, რომელიც ჩვენი გაკეთებული იყოს, რომელსაც შვილებს და შვილიშვილებს მოვუყვებით, რომ მე-10 მოწვევის პარლამენტში ჩვენ ტყუილად არ ვმსხდარვართ, აი, ამისთვის ვიბრძოდით. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება ხელისუფლებაში, რომელიც დამოუკიდებლად იაზროვნებს ასე, მით უფრო წარმატებული იქნება ეს პარლამენტი“, — განაცხადა დეპუტატმა.

— ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წერილში, რომელიც მისმა ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან გუშინ ჟურნალისტებს გააცნო.

მისვე თქმით, ახლა საჭიროა ფართო საზოგადოებრივი ერთიანობა.

„ქართველმა ხალხმა ამ არჩევნებში გაიმარჯვა უკლებლივ ყველა ქალაქში. ქართველი ხალხი გამარჯვებულია და ივანიშვილი დამარცხებული. მანამდე ეუბნებოდნენ, რა აზრი აქვს მოსვლას, მაინც ვერ მოიგებთო, მერე როცა მოიგეს, უბრალოდ გააბათილეს მოგება და ახლა არწმუნებენ, რომ რა აზრი აქვს ქუჩაში გამოსვლას, მაინც არაფერი გამოვაო. არადა ერთადერთი ივანიშვილს და მის ბანდას ეშინიათ სწორედ ჩვენი მრავალრიცხოვნების და მრავალჯერ ქუჩაში გამოსვლის. არ არსებობს მსოფლიოში დიქტატორი, რომელსაც ამის არ ეშინია და ეს დიქტატორი განსაკუთრებით სუსტია, რადგან ძირითადი ფული დასავლეთის ბანკებში აქვს და დასავლეთმა აბსოლუტურად ზუსტად დააფიქსირა საარჩევნო დარღვევები. ახლა მით მეტად დაგვიჭერს მხარს, რაც მეტნი და მეტად გამოვალთ ქუჩაში. აქ კი თქვა ეუთო-ს ხელმძღვანელმა, ჩვენ ყველაფერი ვთქვით და ახლა დანარჩენი ქართველ ხალხზეაო. ახლა აუცილებლად შემოგვესევიან სხვადასხვა ექსპერტები და პოლიტიკანები ერთი ლოზუნგით, რომ შემდგომ ქუჩაში ბრძოლას აზრი არ აქვს, მაინც არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, გარეთ არიან მაგარი, უკვე ბრძოლაში გამოწრთობილი ლიდერები, როგორც განსაკუთრებით ნიკა მელია, ასევე რამდენიმე ძალიან გაბედული ლიდერი, რეგიონული ლიდერები და სხვადასხვა პარტიების, მათ შორის ახალგაზრდა თაობა ძალიან გონიერი და ბრძოლისუნარიანი ლოდერების.

მეორე, ჩემი ციხიდან დახსნის პირობებში, გაძლევთ სიტყვას, რომ მაქსიმუმ 10 დღეში მივაღწევთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას და დავდებთ ივანიშვილს ბეჭებზე. ჩვენ ახლა გვჭირდება ფართო საზოგადოებრივი ერთიანობა, თითოეულ მედგარ, გაუტეხელ ადამიანს დიდი მნიშვნელობა და ოქროს ფასი აქვს. ჩვენი ძალა ახლა ერთობაშია და გამარჯვების რეცეპტი მრავალრიცხოვნობასა და დაუღალაობაშია“, — აღნიშნულია წერილში.

32 დღის ნაშიმშილარს ბოდვები დაეწყო!

ჩემი ციხიდან დახსნის პირობებში, გაძლევთ სიტყვას, მაქსიმუმ 10 დღეში მივაღწევთ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას

ტარიფების სუბსიდირების ნაცვლად პრეტენზიებზე შუამდგომლობა!..

მოახლოებული ზამთრის წინ მოსახლეობას საგრძნობლად გაზრდილი კომუნალური გადასახადების გადახდა გაუჭირდება. ბუნებრივი აირი უკვე გაძვირდა, ელექტროენერგიის ჯერ კიდევ შარშან გაზრდილი ტარიფი კი იანვრიდან ამოქმედდება. ისედაც ინფლაციით შეჭირვებული ხალხი მთავრობისგან დახმარების მოლოდინშია, ამ დროს მათ მხოლოდ ენერგოკომპანიების მიმართ პრეტენზიებზე შუამდგომლობას სთავაზობენ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **გიორგი კაკაურიძემ** პარლამენტში ყოფნისას მხოლოდ იმის პირობა გასცა, რომ კომუნალური გადასახადების კუთხით, სუბსიდირების ნაწილი მარტოოდენ მიზნობრივ ჯგუფებზე შენარჩუნდება. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც არ წარმოადგენს დაუცველ სოციალურ ფენას, არაპანდემიურ პერიოდში კომუნალური ტარიფი არ დაფინანსდება.

ამის მეტი გიორგი კაკაურიძეს არაფერი უთქვამს. შესაბამისად, ვის შეეხება კომუნალურების სუბსიდირება, იქნებიან მხოლოდ სოცდაუცველები, თუ შეღავათი სხვა, მოწყვლად ჯგუფებზე, მაგალითად, პენსიონერებზეც გავრცელდება, ოფიციალური უწყებები ჯერ არაფერს ამბობენ. რეალურად რა მოცემულობა იქნება ზამთრის წინ ამ დღეებში გავიგებთ, როცა ელექტორატის გულის მოგება მთავრობას აღარ დასჭირდება.

პროფესორი **პაატა არაშიძე** მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტს, უბრალოდ, ვეღარ ექნება სუბსიდირების რესურსი და მიზნობრივი დაფინანსება ყველა ასპექტით უფრო გამართლებულია.

„ამ ყველაფერს ორი მხარე აქვს. აშკარაა, რომ ხალხს უჭირს გადასახადების გადახდა, თუმცა ყველა მუდმივად ვერ იქნება სუბსიდიის ქვეშ. ეს არ შედის არც ბიუჯეტის პოექტში და შესაბამისად, არც არსებობს რესურსი, რომ მასშტაბური სოციალური პაკეტი განხორციელდეს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ახლა, პოლიტიკაც, ეკონომიკაც, კულტურაც და სხვა ყველა სფეროც, მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის მძევალია და ასე იქნება ვაქცინაციის პროცესი სანამ სამიზნე მაჩვენებელს მიაღწევს.

გადასახადების ზრდა, არა მხოლოდ ჩვენთან, მთელ მსოფლიოში მტკივნეულად აღიქმება, მდიდარ ქვეყნებშიც კი. მაგრამ შეუძლებელია საგარეო ვალით და ნასესხები ფულით დაუსრულებლად გაგრძელდეს ქვეყნის ფუნქციობა“, — განაცხადა აროშიძემ.

ფაქტია, რომ მთავრობა მასშტაბურ სუბსიდირებას აღარ მიუბრუნდება. არადა, მოსახლეობას აშკარად გაუჭირდება მიმდინარე ზამთრის გადატანა, რომელიც უკვე კარსაა მომდგარი. ერთადერთი, რაშიც მათ დახმარებას ჰპირდებიან, ენერგოკომპანიების მიმართ პრეტენზიებზე შუამდგომლობაა. საამისოდ ენერგოომბუდსმენი „ფეისბუქ-ჯგუფს“ ქმნის, სადაც მოქალაქეებს შეუსაბამოდ მაღალი გადასახადებისა და ელექტროენერგიის ხარჯის შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეეძლებათ.

კერძოდ, სოციალურ ქსელში შეიქმნება მომხმარებლის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ინტერნეტსივრცეში მიიღებს აბონენტების პრეტენზიებს და ასევე დაჩქარებულ რეჟიმში მიაწვდის კომპანიას შესაბამის ინფორმაციას კონკრეტული აბონენტის პრობლემაზე. „ფეისბუქ-ჯგუფი“ უახლოეს დღეებში ამოქმედდება. მისი შექმნის მიზეზი გახდა ის, რომ სოციალურ ქსელებში აქტიურად ვრცელდება ელექტროენერგიის მომხმარებლის პრეტენზიები შეუსაბამოდ მაღალი გადასახადებისა და ელექტროენერგიის ხარჯის შესახებ.



„არსებული სისტემური ხარვეზის დადასტურებისთანავე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მიიღო უსწრაფესი და ადეკვატური ზომები. კომპანიას დაეკისრა ფინანსური სანქცია, დაევალა თითოეული აბონენტის გადამოწმება და თანხის დაკორექტირება. წარმოდგენილი ინფორმაციით, დაკორექტირებული თანხების ჯამმა 1 321 551 ლარი შეადგინა და მომხმარებლის ბალანსზე დაბრუნდა.

აღნიშნული ღონისძიების პარალელურად, ენერგოომბუდსმენის სამსახური უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით. მიუხედავად მასობრივი ღონისძიებებისა, ვმუშაობთ ინდივიდუალური განაცხადებების განხილვაზე. თითოეული უკმაყოფილო მომხმარებლის წერილობითი განცხადება წარმოადგენს დამცველის სამსახურის დეტალური შესწავლის საგანს, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქმის წარმოება მოითხოვს რიგი პროცედურების დაცვას, რაც დროში გაჭიანურებას იწვევს“, — წერია განცხადებაში.

ცნობისთვის, 12 აგვისტოს სემეკმა შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ (თელმიკო) — 75 000 ლარით, ხოლო სს „თელასი“ 50 000 ლარით დააჯარიმა. სემეკში აცხადებდნენ, რომ დაჯარიმების მიზეზი თბილისში ელექტროენერგიის აბონენტებზე სისტემურად განხორციელებული არაზუსტი დარიცხვები იყო.

ბექა დანელია

ნუ გავჩეხავთ ტყეებს!!!

სირენების ხმა ისმის. ჩვენი პლანეტა რაღაცას გვეუბნება. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ამას. უნდა ვიმოქმედოთ და გონივრული არჩევანი გავაკეთოთ. ავირჩიოთ ამბიცია. ავირჩიოთ სოლიდარობა. ავირჩიოთ ჩვენი მომავლის დაცვა და კაცობრიობის გადარჩენა.

ანტონიო გუტიერესი

გლაზგოში მიმდინარე კლიმატურ სამიტზე მსოფლიოს 100-ზე მეტი ლიდერი 2030 წლისთვის ტყეების გაჩეხვის შეჩერებაზე შეთანხმდა. შესაბამის დოკუმენტს გუშინ მოეწერა ხელი და ეს იქნება გაეროს კლიმატური სამიტის პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება. დოკუმენტის ხელმომწერებს შორის იქნება ბრაზილია, სადაც ამაზონის ტროპიკული ტყის დიდი ტერიტორიები გაჩეხილია. შეთანხმება მოიცავს 19 მილიარდი დოლარის გამოყოფას. მიღწეულ შეთანხმებას ეკოლოგები და ეკოაქტივისტები მიესალმებიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ 2014 წელს დადებულ ანალოგიურ შეთანხმებას ტყის გაჩეხვის პროცესი არ შეუნელებია და მნიშვნელოვანია ამ კუთხით ვალდებულებების შესრულება.

იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც ტყეების გაჩეხვის შეჩერების შესახებ შეთანხმებას მოაწერენ ხელს, მსოფლიოს ტყის მასივის დაახლოებით 85% მოდის. მათ შორის არიან კანადა, ბრაზილია, რუსეთი და ინდონეზია. გათვალისწინებული თანხის ნაწილი განვითარებად ქვეყნებს მოხმარდება ტყეების აღსადგენად, ტყის ხანძრების წინააღმდეგ საბრძოლველად და მკვიდრი მოსახლეობის მხარდასაჭერად. ამასთან, გაეროს კლიმატურ კონფერენციაზე მსოფლიოს 30-მა უმსხვილესმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, შეწყვიტოს ინვესტიციები ისეთ საქმიანობაში, რომელიც ტყის ჩეხვას უკავშირდება.

„მომავალ თაობას ჩვენი იმედი აქვს და ჩვენ დანაპირები უნდა შევუსრულოთ“

ულამაზესი მთების, მყინვარწვერებისა და მდინარეების მქონე კავკასიამ მყინვარების 40 % უკვე დაკარგა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დანაკარგების ტემპი აღმოსავლეთ საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლოს გაკეთებულ პროგნოზს გასცდა, სრულად ვიზიარებთ იმ განგაშს, რომელიც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორის საბჭოზე წარმოდგენილ უახლეს ანგარიშშია ასახული, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გაეროს 2021 წლის კლიმატის ცვლილების კონფერენციის ფარგლებში, მსოფლიო ლიდერების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, მეტი ამბიცია და ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ პარიზის შეთანხმებაში განსაზღვრული ტემპერატურის გრძელვადიანი მიზნები დაკმაყოფილდეს და გლობალური კატასტროფა თავიდან იქნეს აცილებული.

პრემიერ-მინისტრმა გაერთიანებულ სამეფოს კორონავირუსით გამოწვეული პანდემიიდან მომდინარე გამოწვევების ფონზე სამიტის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და ისაუბრა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობაზე, რომელიც აუცილებელია კლიმატის ცვლილებებით შექმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობას მკაფიო და ნათელი ხედვით აქვს შემუშავებული განვითარების გეგმა 2030 წლისთვის, რომელიც იდეალურად შეესატყვისება გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ინვესტიციები სუფთა ენერგიაში, კლიმატზე მორგებული სოფლის მეურნეობა და მეტად ადაპტირებული შესაძლებლობები ის კონკრეტული ნაბიჯებია, რაც შეამცირებს ემისიას და ჩვენს საზოგადოებებს მოამზადებს კლიმატის ცვლილების გარდაუვალი გავლენისთვის.

„მომავალ თაობას ჩვენი იმედი აქვს და ჩვენ დანაპირები უნდა შევუსრულოთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ირაკლი ღარიბაშვილი: მადლობას ვუხდი ბორის ჯონსონსა და ანტონიო გუტიერეშს გაწეული ძალისხმევისთვის, რომლის შედეგად პანდემიის გათვალისწინებით, მსოფლიოს 120-ზე მეტი ლიდერის შეკრება შედგა

მთავრობის მეთაურის თქმით, კლიმატის ცვლილებები გლობალური გამოწვევაა, რომელთან გამკლავება ერთობლივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია.

„მქონდა პატივი, საქართველოს სახელით მონაწილეობა მიმეღო გაეროს კლიმატის ცვლილებების 2021 წლის 26-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტში, რომელიც გლაზგოში გაიმართა. კლიმატის ცვლილებები გლობალური გამოწვევაა, რომელთან გამკლავება ერთობლივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ ვალდებული ვართ, ერთად ვიმოქმედოთ. #TogetherForOurPlanet“, — წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

რატომ არიან ებრაელები ყველაზე ჭკვიანნი?!

SIC! საქართველო სამეცნიერო კვლევებზე ისრაელთან შედარებით 126-ჯერ ნაკლებს ხარჯავს!

სამეცნიერო კვლევებზე 2020 წელს საქართველოში, 2019 წელთან შედარებით, 5.7%-ით მეტი — 148.2 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც მშპ-ის 0.3%-ა. ეს კი, მშპ-სთან შეფარდების ჭრილში, გერმანიასთან შედარებით 10-ჯერ, შვეიცარიასთან შედარებით 11-ჯერ და ისრაელთან შედარებით კი 16-ჯერ ნაკლებია.

მკვლევართა 67.4% დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონეა, 30.4% მაგისტრი და 2.2% ბაკალავრი. რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, ქალებში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (22.5%), ხოლო მამაკაცებში — 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე (31.9%).

მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 2 769 ადამიანს შეადგენს (23.3%). ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 474 პირია დასაქმებული.

განათლებასა და კვლევებში ჩადებული ინვესტიცია გრძელვადიანია და ამონაგების მიღებას წლები, ზოგ შემთხვევაში კი ათწლეულები სჭირდება. კვლევებზე დახარჯული თანხა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. 2018 წლის მონაცემებით ისრაელი სამეცნიერო კვლევებზე მშპ-ის 4.9%-ს ხარჯავდა, კორეა — 4.5%-ს, შვეიცარია — 3.4%-ს, იაპონია — 3%-ს, გერმანია — 3.1%-ს. აშშ — 2.8%-ს. საქართველო კი — 0.3%-ს. მეზობელი სახელმწიფოებიდან სამეცნიერო კვლევებზე თურქეთი მშპ-ის 1%-ს ხარჯავს, რუსეთი ასევე 1%-ს, აზერბაიჯანი და სომხეთი თითოეული 0.2%-ს.

ისრაელის მშპ 2018 წელს $370 მლრდ იყო, შესაბამისად მისი 4.9% $18 მლრდ-ს ტოლია. იმავე 2018 წელს საქართველოს მშპ $17.6 მლრდ-ს უდრიდა. რომლის 0.3%-ც 53 მლნ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხობრივ გამოსახულებაში 2018 წელს ისრაელმა საქართველოსთან შედარებით სამეცნიერო კვლევებზე 340-ჯერ მეტი თანხა დახარჯა.

აი, როგორია სამეცნიერო კვლევებზე დახარჯული თანხა საქართველოში



ნავთობით მდიდარი არაბული ქვეყნები ტენდენციას აცდენილია. ყატარი სამეცნიერო კვლევებზე 0.5%-ს ხარჯავს, ქუვეითი — 0.1%-ზე ნაკლებს. გამონაკლისს არაბთა გაერთიანებული საამიროები წარმოადგენს, რომელიც კვლევებზე მშპ-ის 1,3%-ს ხარჯავს.

მთის კურორტები - ახალი ინფრასტრუქტურით

ზამთრის სეზონზე მთის კურორტები დამსვენებლებს ახალი ინფრასტრუქტურით ხვდება.

„სვანეთში, ზურულდის მთაზე შენდება ახალი საბაგირო კომპლექსი. მოხდა არსებული ამორტიზებული საბაგიროს დემონტაჟი, აქტიურად მიმდინარეობს საყრდენი სვეტებისა და საბაგიროს სადგურების მონტაჟი. ზურლიდის მთაზე 2021-2022 წლის ზამთრის სეზონზე ექსპლუატაციაში გაშვებული იქნება გონდოლას ტიპის უახლესი საბაგირო კომპლექსი. საბაგიროს გამტარუნარიანობა საწყის ეტაპზე საათში 1 800 მგზავრი იქნება, სიგრძე კი — 1 421 მეტრი. ეს გახლავთ 10-ადგილიანი გონდოლა. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიულ-შვეიცარიული კომპანია „დოპელმაიერ-გარავენტა ჯგუფი“ ახორციელებს“, — აცხადებენ მთის კურორტების განვითარების კომპანიაში. რაც შეეხება ბაკურიანს, დიდველის ორ სათხილამურო ტრასაზე დამონტაჟდება ხელოვნური გათოვლიანების სისტემები. ჯამში 1 406-მეტრიან სათხილამურო გზას 23 ფიქსირებული და სამი მოძრავი თოვლის საფრქვევი აპარატი გათოვლიანებს. სამუშაოებს იტალიური კომპანია „ტექნო ალპინი“ განახორციელებს. მეხის დაცემის შედეგად დაზიანებულ კოხტას საბაგიროს კი, სრულად ჩაუტარდება რეკონსტრუქცია. რაც შეეხება კურორტ გუდაურს, საბაგირო „გუდაურას“ (გონდოლას ტიპის საბაგირო) შეეცვლება ძველი დაზიანებული ბაგირი ახლით.

განახლებული „მიმინო“

თელავის აეროპორტი „მიმინო“ საქალაქთაშორისო რეისების მისაღებად ემზადება. როგორც აეროპორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, „მიმინოს“ რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა და მოიცავს ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და სააეროდრომო ინფრასტრუქტურის (სამიმოსვლო ბილიკი, საჰაერო ხომალდის სადგომი) სრულ განახლებას. სარემონტო სამუშაოები გულისხმობს გრუნტოვანი და ასფალტის ფენების მოწყობას და შესაბამისი ნიშნებით მარკირებას. ადმინისტრაციის ცნობით, სამუშაოები თვის ბოლოს დასრულდება.

რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, თელავის აეროპორტი სრულად იქნება მზად, მიიღოს შესაბამისი ტიპის საჰაერო ხომალდები საქართველოს ნებისმიერი აეროპორტიდან, როგორც ჩარტერული, ისე რეგულარული ფრენები. პროექტს საქართველოს სააავიაციო უნივერსიტეტი ახორციელებს და ჯამური ინვესტიცია 2 მლნ ლარს აჭარბებს. **საქართველოს სააავიაციო უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფი ქალაქ თელავში მდებარე ერეკლე მეორეს სახელობის აეროპორტი „მიმინო“ 2012 წელს გაიხსნა. აეროპორტის ტერიტორიაზე აშენდა თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურების საწარმო, სანავიგაციო კოშკურა, აეროვაგზლის შენობა მგზავრებისათვის და საერთო საცხოვრებელი პილოტ-ინსტრუქტორებისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისთვის. ამჟამად აქ საფრენოსნო და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ მომზადებას გადიან. ადგილზე სამი ტიპის — Cessna 152, Aeroprakt A-22 და Tecnam P2006T თვითმფრინავებია წარმოდგენილი.**

ᲜᲣ ᲨᲔᲕᲣᲜᲓᲝᲑᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲚᲐᲚᲐᲢᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ!

(ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ნაცები თავიანთ ბოროტ ლოგიკას სიკეთის მანტიაში ხვევდნენ და ისე აჩეჩებდნენ ხალხს, იმ სამსალასთან ერთად, რითაც მათი ანტიეროვნული რიტორიკა იყო გაჟღენთილი.

ᲫᲣᲠᲓᲣᲚ ᲡᲐᲛᲫᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲤᲘᲔᲑᲡ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲪ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲘᲫ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲓᲜᲔᲜ. ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲛᲝᲫᲘᲠᲙᲕᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲔᲑᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲚᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ...

იყო ასეთი ბოროტი ლოგიკა ნაცების ერთ-ერთ შტურმბანფიურერის იმ მუქარაში, რითაც მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეებს მოგვმართა ტელეეკრანიდან: „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირალებოო“... ამ ღრანჭდაბლოკილმა „ჩე გევარამ“ იფიქრა, ალბათ, ხალხს უნდა ეშინოდეს ჩვენი, წესიერად რომ მოიქცესო. რა „ჩე გევარაც“ ბრძანდებოდა, მინსკის აეროპორტში გამოჩნდა, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ ექსპორტიორი უაპელაციოდ გამოაბუნძულეს იქიდან.

„რკინის“ ლოგიკა ჰქონდაო ნაცებს, რაც მათი ბელადის „უკვდავ“ ლოზუნგურ მოწოდებებში გამოიხატა: „ესროლეთ, ხელი არ აგიკანკალდეთ!“ ეს მოწოდებები ესმოდათ მის მიმდევრებს და სჯეროდათ და ასრულებდნენ კიდეც. ასე აუბედურებდნენ გირგვლიანების, რობაქიძეების, ვაზაგაშვილების, გამცემლიძეების, შავაძეებისა და ბევრ სხვა უდანაშაულო ოჯახებს.

ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲚᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲫᲪᲘᲝᲝ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲔᲜᲐᲪ ᲘᲪᲘ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲠᲝ, — ᲜᲐᲗᲔᲫᲐᲛᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲗᲣ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲐᲖᲠᲐᲓ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲚᲝ�გᲘᲙᲐ ᲰᲫᲝᲜᲓᲐ ᲐᲛ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲫᲔᲚᲡ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲘᲓᲔᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲛᲝᲛᲫᲔᲚᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐᲗᲗᲝ. ᲛᲗᲔᲠᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲖᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ!

ნაცების ფიურერმა, ანუ ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოში ბურების ჩამოსახლებაც განიზრახა: საქართველოში სოფლის მეურნეობას განავითარებენო. მისი „ლოგიკა“ ასეთი იყო: „ქართველები სოფლიდან გარბიან, მშობლიურ მიწა-წყალს ტოვებენ და ქვეყნის მარჩენალ მიწას უპატრონოდ ხომ არ დავაგდებთ და ამიტომ მუყაითი ბურები (ჰოლანდიელები) უნდა ჩამოვასახლოო. როგორი ლოგიკაა? წუნს ვერ დასდებ! აი, საქართველოსთვის სიკეთის მომტანია, თუ ბოროტებისა, — ეს საკითხავიც კი არ არის!

იმ ნაცფიურერს საქართველოს მიწაწყალზე შესტკიოდა გული, თუ ცოლოურის ნათესავების მომრავლება უნდოდა ჩვენში, არ ვიცი, მაგრამ მისი ეს გეგმა ისეთივე ლოგიკური მტრობა იყო ქვეყნისა, როგორც ბითუმად ათასობით ვითომ ქართული წარმომავლობის თურქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება.

ნაცების ახლანდელ მიმდევრებსაც ისეთივე ავი ლოგიკა აქვთ, როგორც მათ ბელადსა და მისი ზეობისდროინდელ მინისტრიხფიურერებს ჰქონდათ: მაგალითად, განათლების გაუნათლებელ მინისტრ ლომაიას, რომელმაც პროფესიონალი პედაგოგები გამორეკა სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან. ეგენი ძველი მენტალიტეტის ხალხია და ჩემს ახლებურ რეფორმებს ხელს შეუშლიანო. იყო ბოროტი ლოგიკა ლომაიას მოქმედებაში: საგანმანათლებლო საქმის პროფესიონალები არ განახორციელებდნენ იმგვარ რეფორმას, რამაც განათლება საფუძვლიანად დაანგრია და მთელი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი გამოიწვია. არც თავდაცვის მინისტრს ოქრუაშვილს ჰქონდა ლომაიაზე ნაკლები ლოგიკა: ნეტავი რად გვინდა ქართული სამხედრო აკადემია, ოფიცრები თუ დაგვჭირდა, ამერიკელები მოგვიმზადებენო და ერთი ხელის მოსმით გაუქმა სიმწრით ნაშენები ქართული სამხედრო აკადემია. როგორ ქართველ ოფიცრებს გვიმზადებს ამერიკა, აგერ ჩანს ყველაფერი! ტერიტორიებწართმეული ქვეყნის ოფიცრები რიგში დგანან, იქნებ ავღანეთში, ერაყში, სომალში ან სადმე ჯანდაბაში წაგვიყვანოს ვინმემ საომრად და ხელფასიც გადაგვიხადოსო!

„ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ“ ᲪᲝᲓᲜᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲐᲝᲪᲐᲠ ᲚᲝ�გᲘᲙᲐᲡ ᲐᲕᲚᲔᲜᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘ: ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲐᲝ, — ᲝᲠ ᲮᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲰᲙᲘᲝᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲘᲫᲕᲔᲠᲐ „ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ“ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲑᲝᲠᲝᲢ ᲚᲝ�გᲘᲙᲐᲡ ᲩᲐᲑᲚᲐᲣᲭᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲡᲯᲘᲚ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ ᲘᲮᲓᲘᲡ!

ისევე, როგორც სოფისტური დებულებები აბსურდამდე მიდის მუდამ, ნაცების ბოროტი „ლოგიკის“ აბსურდულობა დემონსტრაციულად გამოვლინდა 14 ოქტომბრის აქციაზე. მიტინგზე გამომსვლელებს ვინც მოუსმინა, არ შეიძლება გული არ სტკენოდა (პატრიოტი თუ იყო, რა თქმა უნდა!) იმის გამო, რომ ამდენი ფსიქიკურად აშლილი ადამიანი გვყავს თურმე, რომლებიც გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებენ. ბევრს, ალბათ, ეცინებოდა, მაგრამ არ შეიძლება გეცინებოდეს იმ კაცის სიგიჟეზე, რომელიც გუშინ ქალაქის მერად გვყავდა დასმული, მეორე კი სამხატვრო აკადემიის რექტორის სავარძელში იჯდა. არც ერთისა და არც მეორის ჭკუა-გონებაზე დიდი წარმოდგენა არ გვქონია, მაგრამ ასეთი შიშველი გიჟები თუ იყვნენ, ვერ ვიფიქრებდით ამას.

ნაცების ლოგიკა გასაგებია ბოროტების ლოგიკაა იგი: თქვენ იმიტომ გაწიოკებთ, გაშინებთ, სამსახურიდან მიგერეკებით, ციხეში გაწამებთ, რომ უკეთესები გვინდა გახდეთ, ჩამორჩენილი ბნელი ქართველობა დავიწყოთ და ევრო-ამერიკელებად გაქციოთო. აი, ამათი ლოგიკის არსი და ფასი. მარტივი და გასაგები!

აი, ქოცების ულოგიკობას კი ზოგჯერ ახსნა არა აქვს.

პირველი გამაოგნებელი ულოგიკო განცხადება 2012 წლის არჩევნებში ნაცების დამმარცხებელმა, ანუ ქოცების ლიდერმა გააკეთა: „ჩვენ ისე არ მოვექცევით ნაცებს, რასაც ისინი იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრებაო“. მე, ან სხვამ რა ვიცით, თქვენ რა გეკადრებათ. სამართლიანობა არის ის, რომ ყველას მოექცე ისე, რასაც იმსახურებს. ამ ლიდერის ნათქვამში არავითარი ლოგიკა არ არის, მაგრამ აშკარაა დაფარული მიზანი, რომელიც მალე გამჟღავნდა ქოცური პარლამენტის სპიკერის ბაგეთაგან: ჩვენი ამოცანაა ნაცების, როგორც პოლიტიკური პარტიის გადარჩენაო. რომელი ლოგიკით მოგვაჩჩა ქოცების ერთ-ერთმა ლიდერმა ეს ახალი ამოცანა? დამნაშავე ორგანიზაცია პოლიტიკურად უნდა გადავარჩინოთო! ფიზიკური გადარჩენის ვერდიქტი პირველ განცხადებაში გამოიკვეთა. ახლა მკვდარი ნაცმოძრაობის რეანიმაციის საკითხი დადგა დღის წესრიგში და ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე მათი გამოთრევის დირექტივა მისცა ქოცებს მისმა ლიდერმა — „კოჰაბიტაცია“!

1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე გამარჯვებულ სახელმწიფოებს ჰიტლერულ ფაშიზმთან კოჰაბიტაცია რომ გამოეცხადებინათ, აღარც ნიურნბერგის პროცესი შედგებოდა და 3-4 მსოფლიო ომიც ექნებოდა გადატანილი ევროპასაც და სხვებსაც.

აი, ამ ლოგიკით მოდიან ქოცები დღემდე და ამიტომაც ვერ დაალაგეს საქმე ვერც ეკონომიკაში, ვერც საშინაო პოლიტიკაში, განა არ იციან ქოცების ლიდერებმა, რომ ვერც ნატოსა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებისა და აშშ-ის უმაღლესი სამხედრო თუ პოლიტიკური პერსონების ვიზიტი საქართველოში, ვერც მათი შეშფოთება-აღშფოთება დაგვიბრუნებს დაკარგულ სეპარატისტულ ტერიტორიებს და ვერც „ოკუპანტი ქვეყნის“ პურსა და ენერგორესურსებს შეგვიცვლის ვინმე, მაგრამ სხვის მიერ თავსმოხვეული „ულოგიკო ლოგიკიდან“, როგორც ჯადოსნური წრიდან ვერ გამოდიან.

ბევრი ნიჭიერი და წესიერი ადამიანია ქოცების ხელისუფლებაში, მაგრამ ეს კარგებიც იმ ულოგიკო რიტორიკისა და პრაქტიკის ტყვეობაში არიან, რაც ასე მყარად დაამკვიდრა კოჰაბიტაციის მავნებლურმა დირექტივამ. „სხვის ჭკუაზე სიარულით, ყველამ იცის, რაც დაშავდა...“ აღარ გავაგრძელებ რუსლან მიქაბერიძის ამ ფუნაგორიას, ისეც ყველამ იცის, ალბათ, ერთორ მაგალითს მოვიტან მხოლოდ ქოცების ულოგიკო რიტორიკიდან:

ძალიან სიმპათიურად ვარ განწყობილი თეა წულუკიანის მიმართ, მის გონიერებასაც დიდად ვაფასებ, მაგრამ... **თეა წულუკიანი**: „ნაცების ლიდერები არიან მკვლელები, კაციჭამიები“... **(ტელეინტერვიუდან); ირაკლი კობახიძე**: „ნაცმოძრაობა კრიმინალური ორგანიზაციაა...“ **(ტელეინტერვიუდან)**.

თქვე კაიდედმამიშვილებო, თუ ასეა (და მართლა ასეა, რაც თქვენზე ადრე გვითქვამს!), მაშინ რა თანამშრომლობა შეიძლება მათთან, პარლამენტში რომ ექაჩებოდით თვეების განმავლობაში? ანდა რატომ აფინანსებთ ხალხის ფულით კაციჭამიებისა და კრიმინალების ორგანიზაციებს? ანდა, ვინ ოხერმა გიკარნახათ (თუ დაგავალათ!) ეს კოჰაბიტაცია, რასაც ლამის გადაჰყვეს საქართველო?!

პირადად მე გულმოწყალეც ვარ და შემნდობიც, მაგრამ ვერ შევუნდობ იმას, ვინც უღალატა ადამიანობას, სამშობლოს, წინაპართა მემკვიდრეობას და არც ნანობს ამას. ასეთები უნდა დაისაჯონ! ისინი კი, ვინც სამშობლოს მოღალატის დასაცავად მიტინგზე გამოდის და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის, ზოგი დავით აღმაშენებელს ადარებს და ზოგი რეგიონალურ ჯორჯ ვაშინგტონს, ზოგი ოხშივარავარდნილ ხინკალს ჰპირდება ციხიდან გამოხსნის შემდეგ, ზოგი კი კედლებზე მისი პორტრეტების მოხატვას კისრულობს, კი არ უნდა დავსაჯოთ, კლინიკაში უნდა ვუმკურნალოთ, თუმცა მათი გამოჯანმრთელების შანსები ნაკლებია: იმათ, კი ვინც ამ მიტინგებს ესწრება და აზრზეც არ არის, რას და ვის უკრავს ტაშს, უნდა ვურჩიოთ: წადით, ბიძიკოებო, ბებიებო და ბაბუებო სახლში, მიხედეთ საქმეს, თორემ შეიძლება რაიმე შარს გადაეყაროთ ქუჩაში!

ღმერთი იყოს საქართველოს (და სხვისიც) შემწე და მფარველი, რადგან ხორციელი არავინ ჩანს ისეთი, რომელიც ჩვენს გაძღოლას და გადარჩენას შეძლებს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ ᲑᲘᲭᲘᲡᲐ...

— ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲜᲔᲜᲐ?

ᲝᲥᲠᲝ ᲑᲐᲓᲐᲜᲐᲐ ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲘᲛᲐᲖᲔ ᲒᲚᲐᲮᲐᲐᲝ, ᲔᲜᲐ ᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ?! ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲐ... ᲛᲐᲛᲐ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲔᲓᲐ ᲠᲐᲘᲐᲓᲛᲐᲡᲙᲝᲛᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲪ ᲙᲐᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ, ᲨᲕᲘᲚᲝ — ᲝᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲔ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲔᲘᲠᲘᲐ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲣᲣᲨᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲞᲘᲚᲐᲜᲢᲣᲠᲐ ᲘᲥᲘᲜᲔ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ.

ᲑᲐᲑᲣᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲓᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲨᲣᲣᲗᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲔᲕᲘᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲠᲪ ᲛᲔᲢᲘ, ᲐᲠᲪ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲘᲤᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲯᲓᲐᲠᲐ. ᲒᲣᲣᲣᲪᲜᲘᲐ ᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖᲐ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ ᲬᲧᲐᲚᲘᲕᲘᲗ ᲠᲝ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ, ᲰᲝᲓᲐ, ᲓᲣᲣᲜᲘᲨᲜᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲣᲣᲭᲘᲠᲓᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲪ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲡ ᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲠᲐ, ᲛᲔᲠᲔ, ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲒᲔᲘᲬᲐᲤᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ.

ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲠᲐᲪ ᲨᲣᲣᲫᲚᲘᲐ, ᲛᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲡ ᲛᲐᲒᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲣᲣᲧᲔᲜᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲨᲕᲔᲚᲘᲡ, ᲘᲡᲔᲐ ᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ.

ᲫᲐᲐᲡ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲦᲐᲜᲐᲐ. ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲠᲐᲛᲘᲢᲝᲜᲐ ᲑᲣᲠᲫᲒᲚᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲕᲘᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲐᲠᲗᲕᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲒᲐᲓᲐᲙᲝᲪᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲙᲘᲗᲮᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲘᲭᲘᲠᲗᲝ, ᲠᲐᲤᲔᲠ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗᲝ.

ᲛᲔᲠᲔ ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔᲪ ᲓᲐᲯᲓᲐ. ᲓᲕᲘᲜᲝᲪ ᲓᲐᲚᲘᲐ... ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲭᲣᲠᲡ ᲮᲔᲗᲥᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲔᲠᲘᲐ ᲑᲐᲦᲐᲜᲐᲡ. ᲒᲐᲛᲔᲕᲘᲓᲐ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲒᲕᲐᲒᲘᲜᲐ. ᲛᲔᲠᲔ, ᲒᲔᲕᲘᲓᲐ ᲮᲔᲭᲔᲭᲣᲠᲘᲡ ᲛᲡᲮᲐᲚᲖᲔ, ᲐᲛᲔᲘᲦᲝ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲝᲮᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲐᲤᲡᲐ ᲗᲐᲕᲗᲖᲔ... ᲔᲕᲘᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲮᲔᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲗ. ᲔᲮᲕᲔᲬᲔᲜ, ᲜᲣ ᲛᲝᲒᲕᲭᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲝ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲠ ᲓᲣᲣᲯᲔᲠᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲡ, ᲡᲣᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲐᲒᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲮᲚᲔᲑᲘ ᲣᲠᲢᲧᲐ.

ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲖᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔᲑᲓᲘᲗ. ᲣᲨᲕᲔᲚᲝᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲤᲠᲐᲡᲘᲝᲜᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ, ᲘᲛᲐᲜ ᲛᲔᲘᲒᲝᲜᲐ, „ᲰᲐᲭᲐᲠᲜᲘ ᲙᲐᲛᲐᲜᲓᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲫᲐᲮᲝᲗᲝᲗ. ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲒᲔ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ. ᲫᲐᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲣᲣᲒᲕᲘᲐᲜᲘᲐᲗ. ᲡᲐᲐᲗᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲛᲘᲐᲧᲣᲓᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲙᲘᲑᲔ ᲓᲐ ᲔᲮᲕᲔᲬᲔᲜ ᲩᲐᲛᲝᲘᲝᲗ. ᲛᲐᲠᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲐ�გᲐᲗ ᲓᲣᲣᲯᲔᲠᲐ. ᲬᲘᲮᲚᲔᲑᲘ ᲣᲠᲢᲧᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ Ა�გᲘᲜᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲰᲐᲭᲐᲠᲜᲘᲙᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲖᲔ ᲠᲔᲛᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲮᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲙᲭᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲩᲐᲛᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ. ᲫᲐᲐᲐᲜ ᲮᲕᲐᲜᲪᲐᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲣᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲒᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲩᲐᲒᲧᲠᲘᲗᲝᲗ.

ᲐᲡᲔ ᲨᲔᲙᲭᲔᲚᲘ ᲩᲔᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ. ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔᲗ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲐᲒᲘᲜᲐ, ᲛᲐᲠᲐ ᲠᲐ ᲐᲒᲘᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲪᲓᲘᲐ, ᲓᲐᲕᲢᲘᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲕᲔᲓᲘᲗ.

ᲓᲕᲘᲜᲝᲛ ᲣᲩᲜᲐ ᲛᲐᲒᲘ ᲗᲕᲐᲠᲐ, ᲐᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲝᲥᲠᲝ ᲑᲐᲓᲐᲜᲐᲐ, ᲝᲥᲠᲝ!..

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ, ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲜ (599 984 947)

◎ რაგბი

ქართული არმადა

„ბორდოლოსანთა“ სამწვრთნელო შტაბმა ნოემბრის ტესტ-მატჩებისთვის 33-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

შემოდგომაზე ჩვენი გუნდი ორ თამაშს გამართავს:

14 ნოემბერს ბორდოში საფრანგეთს თბილისის დროით 17 საათზე ვეთამაშებით. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ლე ბლეს“ მსოფლიო თასს მიღმა ვერკინებით. აქამდე ფრანგებთან ერთადერთხელ, 2007 წლის მსოფლიო თასზე გვითამაშია;

20 ნოემბერს ესპანეთში, მადრიდის მახლობლად, არანხუესში ფიჯის შევებმებით.

ლევან მაისაშვილმა გაფართოებულში პრაქტიკულად ყველა იმ მორაგბეს უხმო, რომლის ხილვაც ამ ეტაპზე სურდა. 33 მორაგბიდან 19 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა. გუნდი უკვე შევიდა შეკრებაზე „შევარდენის“ ბაზაზე და 7 ნოემბერს ბორდოში გაემგზავრება, სადაც პირველი მატჩის წინ მზადების დასკვნით ეტაპს გაივლის.

მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია, რომ მომავალი შეხვედრებისთვის საუკეთესო შემადგენლობის შეკრება მოახერხა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეთა უმეტესობა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ უჩივის:

„ბოლო ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად პირველად მოხდა, რომ მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბეთ. შეკრებაზე გვყავს თითქმის ყველა ის მოთამაშე, რომლის ხილვაც ამ ეტაპზე გვსურდა. ერთადერთმა ჯაბა ბრეგვაძემ ვერ შეძლო ჩამოსვლა. მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეებმა ტრავმები მოიშუშეს და დაგვიბრუნდნენ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ყველას ერთად ნახვა სასიამოვნო ფაქტია.

ასევე სასიამოვნოა, რომ მოთამაშეთა უმეტესობას კლუბებში საკმარისი სათამაშო დრო აქვთ და მომავალ შეხვედრებს ოპტიმალურ კონდიციებში ხვდებიან. კარგი იყო „შავ ლომს“ მესამე თამაშიც ჩაეტარებინა, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ. სასიამოვნოა, რომ მოსამზადებელი ეტაპი ერთად გავიარეთ და ამ მხრივ უკეთეს პოზიციაში ვართ, ვიდრე გასულ წლებში. 2017-2019 წლებში ლეგიონერების აქტივობა კლუბებში დაბალი იყო, რასაც პანდემია მოჰყვა. კარგია, რომ წელს სურათი შეიცვალა და უთამაშებლობის პრობლემა ისე მწვავედ აღარ დგას“, — ამბობს მაისაშვილი.

პირველი ხაზი: მიხეილ ნარიაშვილი (66 კეპი, 5 ქულა), ნიკოლოზ ხატიაშვილი (6 კეპი), გურამ გოგიჩაშვილი (23 კეპი, 10 ქულა); შალვა მამუკაშვილი (83 კეპი, 55 ქულა), გიორგი ჭყოიძე (17 კეპი, 5 ქულა), ვანო კარკაძე (5 კეპი, 5 ქულა); ბექა გიგაშვილი (23 კეპი, 10 ქულა), გიორგი მელიქიძე (29 კეპი, 15 ქულა), ლუკა ჯაფარიძე (1 კეპი);

მეორე ხაზი: კოტე მიქაუტაძე (68 კეპი, 10 ქულა), ნოდარ ჭეიშვილი (32 კეპი), დავით გიგაური (12 კეპი, 5 ქულა), ლაშა ჯაიანი (11 კეპი), გრიგორ ქერდიყოშვილი (5 კეპი, 5 ქულა);

მესამე ხაზი: გიორგი ცუცქირიძე (21 კეპი, 15 ქულა), ბექა საღინაძე (23 კეპი, 15 ქულა), თორნიკე ჯალაღონია (10 კეპი, 10 ქულა), ოთარ გიორგაძე (29 კეპი, 30 ქულა), ბექა გორგაძე (31 კეპი, 35 ქულა);

9: ვასილ ლობჟანიძე (59 კეპი, 50 ქულა), გელა აფრასიძე (35 კეპი, 24 ქულა), მიხეილ ალანია (5 კეპი);

10: თედო აბჟანდაძე (26 კეპი, 164 ქულა), გიორგი ბაბუნაშვილი (4 კეპი, 9 ქულა);

12-13: მერაბ შარიქაძე (კაპ. 78 კეპი, 60 ქულა), გიორგი კვესელაძე (35 კეპი, 25 ქულა), დემურ თაფლაძე (10 კეპი, 5 ქულა), სანდრო სვანიძე (1 კეპი);

11-14: სანდრო თოდუა (93 კეპი, 65 ქულა), აკაკი ტაბუცაძე (13 კეპი, 55 ქულა), მირიან მოდებაძე (16 კეპი, 35 ქულა);

15: დავით ნინიაშვილი (7 კეპი, 20 ქულა), ლაშა ხმალაძე (87 კეპი, 53 ქულა).

◎ ძიუდო

როცა ემოციები დაცხრა

როგორც გახსოვთ, ტოკიოს ოლიმპიადაზე უმედლოდ დარჩენის შემდეგ 32 წლის ვარლამ ლიპარტელიანმა ცხელ გულზე მიიღო კარიერის დასრულების გადაწყვეტილება.

სპორტის ქომაგთა არმია იმედოვნებდა, რომ ემოციების დაცხრომის შემდეგ ჩვენი საამაყო ფალავანი ტატამს დაუბრუნდებოდა და, ეტყობა, ასეც მოხდება, რადგან იგი ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მონაწილეთა ჩემპიონთა ლიგაში დარეგისტრირდა (მძიმე წონა).

აღნიშნულ პრესტიჟულ ტურნირს 11 დეკემბერს პარიზი უმასპინძლებს და იქ „ლიპოსთან“ ერთად ქართული გუნდის — „მებრძოლის“ ღირსებას დაიცავენ **ბაგრატ ნინიაშვილი (66), ფრიდონ გიგანი (73), ნუგზარ ტატალაშვილი, ტატო გრიგალაშვილი (ორივე 81), ავთანდილ ჭრიკიშვილი (90), ლაშა ბექაური (100) და ადამ ოქრუაშვილი (+100).**

დავძენთ, რომ მართალია ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბექაურმა ახლახან ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ, წესით, დარჩენილ დროში მომჯობინება უნდა მოასწროს.

◎ ჭიდაობა

ღირსეული სტარტი

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში **ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 23-წლამდეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ლერი აბულაძე ფინალში იჭიდავებს. გარდა ამისა, ორ ქართველ ფალავანს ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი აქვს.**

აბულაძემ 63 კგ წონით კატეგორიაში თავიდან ყაზახი ასახაუტ მუხამადიევი 5:1 დაამარცხა, შემდეგ რუსი გიორგი თიბილოვი 7:3 და ირანელი ალი რეზა ოლა ნეჯატი 7:3 დაჯაბნა, რის შედეგადაც ფინალში გავიდა. ლერი გადამწყვეტ შეხვედრაში თურქ აჰმეთ უიარს შეებმება.

84 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავებს **თემურ ჭკუასელიძე,** რომელმაც სომეხ გევორქ თათევოსიანს 8:0 მოუგო, მერე ბულგარელი სვიატოსლავ ნიკოლოვი 10:1 და თურქი მუჰუტდინ სარიჩიჩეკი 8:5 დაამარცხა, ნახევარფინალში კი თავად წააგო რუს ალექსანდრ კომაროვთან ბოლო ქულის წესით (7:7). ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მისი მეტოქე ხვალ გაირკვევა.



77 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი აქვს **ნიკოლოზ ჭიკაიძეს,** რომელმაც საწყის წრეში ტუნისელ ლამიედ მააფის 8:5 მოუგო, მერე ირანელ ამინ იავარ კავინინეჯადთან 0:6 დამარცხდა, რომელიც ფინალში გავიდა და ჩვენებური რეპეშაჟში გაიყოლა, რომლის პირველ წრეში ალბანელ არდიტ ნდოის გაეჯიბრება.

◎ წყალბურთი

საკუთარ აუზში...

„ევრო-2022“-ის საკვალიფიკაციო ტურნირების წილისყრამ მომავალი ფორუმის დარჩენილი 8 საგზურისთვის მებრძოლი გუნდები ჯგუფებში ასე გადაანაწილა:

„ა“ ჯგუფი (მასპინძელი სლოვენია) — გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, სლოვენია, ბელგია;

„ბ“ ჯგუფი (მასპინძელი საქართველო) — საქართველო, სლოვაკეთი, ბელარუსი, პოლონეთი;

„გ“ ჯგუფი (მასპინძელი მალტა) — რუმინეთი, მალტა, ლიეტუვა, ირლანდია;

„დ“ ჯგუფი (მასპინძელი ისრაელი) — თურქეთი, ნიდერლანდები, უკრაინა, ისრაელი.

თამაშები 17-20 თებერვალს გაიმართება.

შესარჩევი რაუნდის შემდეგ 2-2 საუკეთესო ნაკრები შეუერთდება იმ რჩეულთა ოქტეტს, რომელმაც აღნიშნული უფლება კონტინენტის შარშანდელ ჩემპიონატზე დაიმსახურა (უნგრეთი, ესპანეთი, იტალია, მონტენეგრო, საბერძნეთი, რუსეთი, სერბეთი, ხორვატეთი), ხოლო ფინალურ ეტაპს 27 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით ხორვატული სპლიტი მიიღებს.

◎ ჩოგბურთი

ქართველთა „დუბლი“

ამ დღეებში კორტის ქართველმა ოსტატმა ქალებმა ორი ტურნირი მოიგეს, თანაც ორივემ — წყვილთა თანრიგში.

რუმინეთი. საპრიზო ფონდი — 250000 ევრო. ეკატერინე გორგოძემ და მასპინძელმა ირინა მარია ბარამ ზედიზედ დაამარცხეს გერმანული, რუსული და კარპატული დუეტები, ფინალში კი საათსა და 22 წუთში მეორე ნომრად განთესილ ალექსანდრა კრუნიჩსა (სერბეთი) და ლესლი პატინამა კერხოვეს (ნიდერლანდები) სძლიეს — 4:6, 6:1, 11:9.

საფრანგეთი. საპრიზო ფონდი — 80000 ევრო. მარიამ ბოლქვაძემ და ბრიტანელმა სამანტა მარეი შარანმა თანმიმდევრობით მოუგეს გერმანელ — რუმინელ, მასპინძელ — იტალიელ და ინგლისელ მეტოქეებს, სატიტულო ბრძოლა კი ძლევამოსილად საათსა და 20 წუთში დასრულეს ფრანგებთან — 7:6, 6:0.

რაც შეეხება მსოფლიოს 21-ე ჩოგანს ნიკოლოზ ბასილაშვილს, იგი პარიზში სტარტზევე გამოეთიშა „მასტერსის“ სერიის წლევანდელ ბოლო ტურნირს, თუმცა სეზონი წარმატებულად უნდა ჩავუთვალოთ, რადგან საუკეთესოთა ოცეულის ზღურბლამდე აღზევდა.

იგი კორტის მასპინძელ ადრიან მანარინოსთან 1 საათსა და 17 წუთში დასრულებულ ორსეტიან ბრძოლაში დამარცხდა — 4:6, 2:6, ვისთანაც აქამდე სოფიის ჰარდის საფარზე მოგებული ჰქონდა ერთადერთი შეხვედრა — 7:6, 7:6. წაგების მთავარი მიზეზი ნიკას მოჭარბებული ნერვიულობაა — მან 31(!) ორმაგი შეცდომა დაუშვა მოწოდებისას.

◎ ფეხბურთი

ელიტური გაცხრილვა

ძალთა საფეხბურთო ევრო — 2022-ს 6-31 ივლისს ინგლისი უმასპინძლებს.

ამ დღეებში მანჩესტერში გაიმართა საგაისო ფორუმის წილისყრა, რომელმაც რჩეული ასე დაახარისხა:

„ა“ ჯგუფი — ინგლისი, ავსტრია, ნორვეგია, ჩრდილოეთ ირლანდია;

„ბ“ ჯგუფი — გერმანია, დანია, ესპანეთი, ფინეთი;

„გ“ ჯგუფი — ნიდერლანდები, შვედეთი, რუსეთი, შვეიცარია;

„დ“ ჯგუფი — საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ისლანდია.

◎ კარატე

„ბრინჯაოს“ დებიუტი

ხუთკაციანი ნაკრებით იასპარეზა ქართულმა დელეგაციამ (მთავარი მწვრთნელი — ლაშა კოდუა) კარატისტთა გრან-პრიზე,რომელშიც 16 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ (შიტორიუ დო).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის წევრთა უმეტესობა პირველად ცდიდა ძალებს ასეთ პრესტიჟულ ტურნირში და მათ დებიუტი 2 ბრინჯაოს მედლით აღნიშნეს: **ლუკა ლობჟანიძე** (კადეტები, 57 კგ) და **ლუკა ქაჯაია** (68 კგ).

პროკურატურა გერმანელ კოლეგებთან ერთად ჩატარებულ სპეცოპერაციაზე გავრცელებულ დეზინფორმაციას უპასუხებს

გვარამიას „გლავკანალის“ კიდევ ერთი დაცემა!

საქართველოს პროკურატურა 29 ოქტომბერს, „მთავარის“ ეთერში გასულ ინფორმაციას ეხმაურება, მას დეზინფორმაციას უწოდებს და აღნიშნავს, რომ ტელეკომპანიამ მიზანმიმართულად დაამახინჯა ფაქტები.

საქმე ეხება საქართველოს პროკურატურის მიერ, გერმანელ კოლეგებთან ერთად ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციას, რის შედეგადაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

„ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მიზანია, ერთის მხრივ, საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაცია და საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა, ხოლო მეორე მხრივ, წარმატებული სპეციალური ოპერაციის დაკნინების მცდელობა. აქვე, ხაზგასმით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გადაცემაში გაჟღერებული ინფორმაცია არის სიცრუე და არ შეესაბამება სინამდვილეს“, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

უწყება განმარტავს, რომ ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ერთობლივად იგეგმებოდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ისრაელის სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებების აქტიური ჩართულობით და სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელის — ევროჯასთის მხარდაჭერით.

ამასთან, პროკურატურა განმარტავს, რომ, 19 ოქტომბერს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა დაკავების ღონისძიება და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, მხარეთა შეთანხმებით, ერთდროულად დაიწყო საქართველოსა და ისრაელში, რის შედეგადაც ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს, მათ შორის — ორგანიზებული დანაშაულის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი.

„ღონისძიების ჩატარებაში ჩართული იყო 90-მდე ქართველი სამართალდამცავი, ასევე 20-მდე გერმანელი ოფიცერი და პროკურორი. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულია ყველა ის პირი, რომლის ბრალეულობაც, ამ ეტაპზე, სისხლის სამართლის საქმეში იკვეთებოდა. საქმეზე კვლავ გრძელდება ინტენსიური გამოძიება და საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე, ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის და მხილების მიზნით. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჩატარებული სპეციალური ოპერაცია მაღალ დონეზე შეფასდა გერმანული მხარისა და ევროჯასთის მიერ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

პროკურატურა აღნიშნავს, რომ ე.წ. ქოლ-ცენტრების დანაშაულებრივი საქმიანობის, ამ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენაში ჩართულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, რომლებთანაც საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურ რეჟიმში თანამშრომლობს.

„ასევე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სატელევიზიო გადაცემაში ნახსენებ კომპანიას სს „მიდელ სის კაპიტალს“ ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციასთან არანაირი შემხებლობა არ აქვს და საქმის მასალებში, მათ შორის, გერმანული მხარის მიერ მოწოდებულ მასალებში, დასახელებული კომპანია არც პირდაპირ და არც ირიბად არ ფიგურირებს. რაც შეეხება გადაცემაში ნახსენებ შოთა შალელაშვილის ოჯახის წევრს — გარი შალონს, საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სს „ქართუ ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოძიება მიმდინარეობს ცალკეული ფიზიკური პირების მიერ, განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით. საქმეზე საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, დაყადაღებულია ათეულობით მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს პროკურატურა კოორდინაციაშია და აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ უწყებებთან“, — აღნიშნულია საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უწყება განმარტავს, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ღონისძიებაში ჩართულმა გერმანელმა სამართალდამცველებმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ და ევროჯასთმა (სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელი) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დაკავების სპეციალური ოპერაცია წარმატებულად შეაფასეს და საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.

„მიუხედავად ამისა, ტელეკომპანია „მთავარმა“ მოგონილი და არარსებული ინფორმაცია გაავრცელა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და წარმატებული სპეციალური ოპერაციის დაკნინების მცდელობას“, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ხსოვნა



გულნარა კოხტაშვილი

მრავალრიცხოვან პედაგოგთა პლეადას გამოაკლდა ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი გულნარა კოხტაშვილი. ადამიანი, რომელმაც თავისი ნაყოფიერი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა ახალგაზრდების აღზრდის, მათი ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან საქმეს შესწირა.

იგი დაიბადა 1938 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1956 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი კლასების პედაგოგის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჯერ თბილისის 124-ე, ხოლო შემდეგ 51-ე საშუალო სკოლაში.

ქალბატონი გულნარა ახსოვთ, როგორც თავისი საქმის უზადო პროფესიონალი, პრინციპული, ზომიერად მკაცრი და, ამავე დროს, უაღრესად კეთილშობილი და თბილი ადამიანი, რომელიც თანაბარი ავტორიტეტით სარგებლობდა.

განსაკუთრებულია მისი დამსახურება ჰუმანური პედაგოგიკის პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდების დანერგვაში სასწავლო პროცესში.

ცნობილია მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა გამოჩენილ, პროგრესულად მოაზროვნე შალვა ამონაშვილთან, რომელმაც 1964 წელს თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია, ხელმძღვანელობდა მასობრივ ექსპერიმენტებს დაწყებითი განათლების პრობლემებზე საქართველოს რამდენიმე რაიონში.

ქალბატონი გულნარა ხუთი ათეული წლის განმავლობაში ემსახურებოდა მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას. იყო ერუდირებული, უდიდესი ინტელექტისა და კულტურის მქონე ქალბატონი, თავის საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, ჰუმანური ადამიანი და შეუდარებელი კოლეგა. ის სიცოცხლის ბოლომდე ავტორიტეტითა და უანგარო სიყვარულით გამოირჩეოდა.

ქალბატონმა გულნარამ მთელი თავისი ცოდნა, ენერგია, გამოცდილება და უდიდესი სიყვარული თავდაუზოგავად მოახმარა სკოლას, რომელიც მისთვის არასდროს ყოფილა სამსახური, ეს იყო მისი მეორე სახლი, დიდი ოჯახი, ადგილი, სადაც ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს.

ქალბატონი გულნარას მრავალმა აღზრდილმა სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც დაეუფლნენ საინჟინრო სპეციალობებს და წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე ჩართული არიან ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

გულნარა კოხტაშვილის სახელი დიდხანს იცოცხლებს მათ მოგონებებში, ვისთანაც უმუშავია, ვინც აღუზრდია და ცხოვრების ნათელ გზაზე დაუყენებია ამ ღირსეულ, კაცთმოყვარე და უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი გულნარას უკვდავი სული, ვალმოხდილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საჯარო შეტყობინება შპს „ნიუ ქონსტრაქშენის“ დირექტორს,

ბატონ გიორგი მჭედლიშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტსა“ და შპს „ნიუ ქონსტრაქშენს“ (ს/კ: 243917302) შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული N140 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, (ხელშეკრულების საგანი - ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე შემსყიდველის (საქპატენტის) საოფისე შენობის მშენებლობა, თანდართული ხარჯთაღრიცხვის და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად), წარმოგეშვათ ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვალდებულება, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 15 ივნისის და 2021 წლის 8 ივნისის დასკვნების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, ქ.მცხეთაში ანტიოქიის N5-ში მდებარე შენობის კონსტრუქციულ ნაწილსა და სახურავს აღენიშნება დაზიანება, რომელიც საჭიროებს შეკეთება-შერემონტებას.

შესაბამისად, გთხოვთ საქპატენტსა და შპს „ნიუ ქონსტრაქშენს“ შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული N140 ხელშეკრულების 11.2 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოთ ხარვეზის აღმოფხვრა, შეტყობინების ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების 11.3 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, ხარვეზის სრულად აღმოფხვრამდე.

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

- მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N5
- ელ-ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
- ტელ.: +995 322 25 25 33

პატივისცემით,
მანანა ფრუიძე
სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს შოთა სამსონიას მეუღლის

მედეა (დეა) გიგოლაშვილის

გარდაცვალების გამო

პანაშვიდი 3, XI, უნივერსიტეტის ქ. №1 (რიტუალების სახლი)

გამოსვენება 4. XI, 14 საათზე წმინდა ანტონ მარტყოფელის სახ. ეკლესიიდან (ცინცაძის, ყოფ. საბურთალოს ქ. 44)

ეროვნულ გალერეაში საექსპოზიციო სივრცეების სარემონტო სამუშაოები დასრულებულია

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის საექსპოზიციო სივრცეები სრულად განახლდა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოების შედეგად სამი საექსპოზიციო დარბაზი, მათ შორის ფიროსმანის დარბაზი, თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების გათვალისწინებით სრულად განახლდა და ამიერიდან, საგამოფენო ექსპონატები ახალ, კეთილმოწყობილ გარემოში განთავსდება.

კულტურის სამინისტროსა და ეროვნული გალერეის თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წელს დაისახა ეროვნული გალერეის ახალი საგამოფენო პოლიტიკა. კერძოდ, საგამოფენო სივრცე გაიხსნა თანამედროვე მხატვრებისთვის, სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა მხატვრული აზროვნების მქონე ხელოვანებისთვის და ამით ეროვნულმა გალერეამ სრულად დაიბრუნა თავისი პირველადი, ანუ გალერეის ფუნქცია.

ეროვნული გალერეის პირველი სართული, ჩვეულებისამებრ სრული დატვირთვით იმუშავებს პროექტების სახით შესულ გამოფენებზე, ხოლო მეორე სართულზე, განახლებულ სივრცეებში, მანამ, სანამ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს თავად ექნება შესაბამისი, ტექნიკურად სრულად აღჭურვილი საექსპოზიციო სივრცე და შენობა, 2021 წლის 2 ნოემბერიდან ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების განახლებულ, მუდმივ გამოფენას უმასპინძლებს. ფიროსმანის გამოფენის გვერდით ცნობილი ქართველი მხატვრის, ირაკლი ფარჯიანის რეტროსპექტული გამოფენაც მოეწყობა, ხოლო შემდეგ ეტაპზე, გალერეაში დაბრუნდება „ქართული მოდერნიზმი“ ახალი ექსპოზიციით, ასევე, გამოფენილი იქნება ხელოვნების მუზეუმის სხვადასხვა ფონდების კოლექციები, მოეწყობა გალერეაში პროექტების სახით შემოსული თანამედროვე მხატვართა საინტერესო ექსპოზიციები.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში საექსპოზიციო სივრცეების სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წლის 9 სექტემბერს დაიწყო და 15 ოქტომბერს დასრულდა. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სრულად განახლდა საექსპოზიციო სივრცეები სამ დარბაზში. საექსპოზიციო სივრცეების მთავარი პრობლემა იყო წვიმის წყლის ჩამოსვლის გამო დაზიანებული და შელახული კედლები. თანდართულ ვიზუალურ მასალაში შეგიძლიათ იხილოთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულად განახლებული საექსპოზიციო დარბაზები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

დედოფალი ექიმებს ეურჩება

გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელისაბედი უინძორის სასახლესთან „იაგუარით“ შენიშნეს. ეს მას შემდეგ, რაც ექიმებმა მონარქს სასახლეში დარჩენა და დასვენება ურჩიეს.

გავრცელებულ ფოტოებში 95 წლის დედოფალი თავსაბურავითა და მზის სათვალეებით ჩანს. ცნობილია, რომ მას ავტომობილით საკუთარი ძაღლები მიჰყავს ხოლმე მიმდებარე ტერიტორიაზე სასეირნოდ. ექიმებმა დედოფალს უთხრეს, რომ ახლო მომავალში თავი არ უნდა გადაიტვირთოს და მხოლოდ მსუბუქი მოვალეობების შესრულება შეუძლია. ერთი კვირის წინ, მონარქმა ღამე საავადმყოფოში გაატარა – მას სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა. მომდევნო ორი კვირა მას ოფიციალური ვიზიტები არ ექნება.

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი

Tesla-ს და SpaceX-ის დამფუძნებლის, ილონ მასკის ქონებამ 300 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. Forbes Real Time-ს რეიტინგის თანახმად, ამერიკელი ბიზნესმენი 1 ნოემბერის მონაცემებით, 13.1 მილიარდით გამდიდრდა.

ილონ მასკის ქონების მთავარ ნაწილს Telsa-ში 21%-იანი წილი წარმოადგენს. გარდა ამისა, ის SpaceX-ში მინორიტარულ წილს ფლობს. რეიტინგში მეორე ადგილს Amazon-ის დამაარსებელი, ჯეფ ბეზოსი იკავებს.

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული კომპანია

Microsoft-მა Apple-ს გაუსწრო და მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული კომპანია გახდა. ბილ გეიტსის კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 2,49 ტრილიონი დოლარი გახდა.

Microsoft-ის შემოსავალმა 30 სექტემბრისთვის 45,3 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც 22%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, კომპანიის საოპერაციო შემოსავალი ამ პერიოდისთვის 20,2 მილიარდი დოლარი იყო, რაც 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 27%-ით მეტია.

რატომ არიან პანდები შავ-თეთრი ფერის!



გიგანტური პანდებისთვის დამახასიათებელი შავ-თეთრი შეფერილობა მათ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში ეფექტურ შენიღბვას უზრუნველყოფს, აცხადებენ მეცნიერები. ბრიტანელმა, ფინელმა და ჩინელმა მეცნიერებმა გამოსახულების ანალიზის უახლესი მეთოდების გამოყენებით აჩვენეს, რომ ასეთი შეფერილობის გამო ცხოველი ძალიან ეფექტურად ინიღბება: მისი ბეწვი საშუალებას აძლევს, ლანდშაფტში ჩაიკარგოს და ინდივიდის რეალური ზომის შესახებ მტაცებელი შეცდომაში შეიყვანოს.

ავტორებმა გიგანტური პანდების ველურ ბუნებაში გადაღებული ფოტოები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ შავი ლაქები მუქ ჩრდილებს და ხის ტოტებს ერწყმის, თეთრი – განათებულ ფოთლებს ან თოვლს შეესაბამება, ხოლო ღია ყავისფერი ტონალობა ბნელ და ნათელ ელემენტებს შორის გლუვ გადასვლას უზრუნველყოფს. მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადასტურეს, რომ შენიღბვის ეფექტი მუშაობს არა მხოლოდ ადამიანის ხედვის მოდელზე, არამედ კატებსა და ძაღლებზეც - მტაცებლების ორი ძირითადი ოჯახის წარმომადგენლებზე, რომლებიც პანდაზე ნადირობენ.

„როდესაც ჩვენმა ჩინელმა კოლეგებმა გამოგვიგზავნეს სურათები ველური ბუნებიდან, მე სურათზე გიგანტური პანდა ვერ დავინახე“, – ამბობს კვლევის ხელმძღვანელი პროფესორი ტიმ კარრო ბრისტოლის ბიოლოგიურ მეცნიერებათა სკოლიდან.

რეკორდის მოსახსნელად 3 საათი ყინულში იჯდა

ადამიანები მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობენ სხვადასხვა რეკორდის დამყარებას, რომლითაც ისინი გინესის რეკორდების წიგნში შესვლას შეძლებენ. ზოგი მათგანი კი იმდენად წარმოუდგენელი ქმედება შეიძლება იყოს, რომ ადამიანის სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეში ჩააგდოს.

მაგალითისთვის მამაკაცი ლიეტუვიდან – ვალერიან რომანოვსკიმ ყინულებით სავსე აბაზანაში სამი საათი და ერთი წუთი გაატარა, ამით კი რეკორდის დამყარება შეძლო. რომანოვსკის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაკონტროლება სამედიცინო დაწესებულებაში გახდა საჭირო. ის თავს კარგად გრძნობს თუმცა ორგანიზმისთვის სამი საათის ყინულში გატარება დიდი შოკი აღმოჩნდა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 5 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.1690; ევრო - 3.6659;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3231;
100 რუბლი - 4.4718; თურქული ლირა - 0.3324;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8632;
1000 სომხური დრამი - 6.6332.

ამინდი 3 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge